თარგმანი

ჩარლზ ტეილორი

ნეიტრალობა პოლიტიკურ მეცნიერებაში

წლების წინ, ხშირად გაიგონებდით, რომ პოლიტიკური ფილოსოფია წარსულს ჩაბარდა, რასაც ხელი შეუწყო მეცნიერების განვითარებამ, პოზიტივიზმის მომწიფებამ, იდეოლოგიების დასასრულმა ან ამ ძალების სხვადასხვაგვარმა კომბინაციამ. რაც არ უნდა ყოფილიყო მიზეზი, ის ამიერიდან წარსულის ქმნილებად განიხილებოდა.

ჩემს ამ მცირე შესავალს პოლიტიკის მეცნიერებასა და პოლიტიკურ ფილოსოფიას შორის არსებული ურთიერთმიმართების გასააზრებლად ვიყენებ და სრულადაც არ განვიზრახავ ამ ერთობ მივიწყებული საკითხის გამო ვინმეს განსჯას. თვალსაზრისებს მიღმა, რომლის თანახმადაც პოლიტიკური ფილოსოფია მკვდარია ან შესაძლოა ამ გზას ადგას, იმალება რწმენა, რომელიც პოლიტიკური მეცნიერების გზას მისგან განსხვავებულად აღიქვამს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთისთვის შესაძლოა სრულიად მიუღებელი აღმოჩნდეს პოლიტიკის მეცნიერების განხორციელების ფორმები, ის მარად მნიშვნელოვან და მისაღებ საქმიანობად დარჩება.

გარკვეულ ეტაპამდე, ნამდვილად არსებობდა მოსაზრება, რომ პოლიტიკის მეცნიერებამ სრულ სიმწიფეს მიაღწია და ამან საბოლოოდ გაათავისუფლა იგი პოლიტიკური ფილოსოფიის კოშმარული სიზმრებისგან. მისი მოქმედების სივრცეს ვეღარ შეავიწროებდა წინასწარ ჩამოყალიბებული ღირებულებითი რწმენა-წარმოდგენები, რაც მთლიანობაში აფერხებდა ერთიანი მექანიზმის მუშაობას.

ეს რწმენა უკავშირდება იმ ფაქტს, რომ პოლიტიკური ფილოსოფიისგან თავის დაღწევით, პოლიტიკის მეცნიერებამ სამეცნიერო მეთოდების ათვისებაში ღირებულებით თავისუფლებასა და მეტ მოქნილობას მიაღწია. მიიჩნეოდა, რომ ამ ორ ნაბიჯს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ერთმანეთთან. მართლაც, მეორე მოიცავს პირველს, რადგან სამეცნიერო მეთოდი სხვა არაფერია, თუ არა ყოველგვარი მეტაფიზიკური წინაპირობებისა და ღირებულებითი ცრურწმენებისგან დაცლილი ფაქტების მიუკერძოებელი შესწავლა.

როგორც ვერნონ ვან დაიკი აღნიშნავს:

> *,,ამრიგად, მეცნიერება და მეცნიერული იმგვარი სიტყვებია, რომლებიც მხოლოდ ერთი სახის ცოდნას უკავშირდება, კერძოდ, ისეთ ცოდნას, რაც დაკვირვებადია. და არაფერს სხვას, რაც დაკვირვების მიღმა შეიძლება არსებობდეს. მხედველობის მიღმა ტოვებს ისეთ ნორმატიულ ცოდნასაც, რომელიც შესაძლო შედეგებს შეისწავლის. მეცნიერება ეხება იმას, რაც მოხდა, რაც ხდება და რაც მოხდება, მიუხედავად სიტუაციის ,,მიზეზებისა".“ (Political Science. Stanford and London: Stanford University Press, 1960, p. 192).*

ისინი, ვინც პოლიტიკურ ფილოსოფიას წარსულის ნაშთად მოიაზრებდნენ, სოციალურ მეცნიერებას ღირებულებით-ნეიტრალურად წარმოიდგენდნენ. მსგავსად საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა, პოლიტიკის მეცნიერებასაც დისტანცირებულად უნდა შეესწავლა ფაქტები. ამ პოზიციამ მხარდაჭერა მოიპოვა ლოგიკური ემპირიზმის მიმდევრებში, კერძოდ იმ ფილოსოფოსებში, რომლებმაც განსაკუთრებით ფართო გავლენა მოახდინეს სხვადასხვა მეცნიერებაზე, განსაკუთრებით კი - ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე. მათი სწავლებებით წახალისებული ზოგიერთი ორთოდოქსი პოლიტიკის მეცნიერი ამტკიცებდა, რომ ნორმატიული თეორიის დანიშნულება, რეკომენდაციების გაცემა და მოქმედების სხვადასხვაგვარი

მიმართულებების შეფასება, მთლიანად უნდა გამოყოფოდა ფაქტების შესწავლასა და მათი ახსნის თეორიულ მცდელობებს.

მაშინაც და დღესაც მრავალი ეჭვი არსებობს ამ პოზიციასთან დაკავშირებით, თუმცა ისინი, არავითარ შემთხვევაში არ მიემართებ(ოდ)ა ფაქტისა და ღირებულების ლოგიკური განცალკევების თეზისს. ეჭვები ძირითადად პოლიტიკის მეცნიერების შესწავლის პროცესში ღირებულებების გამოცალკევებას მიემართებოდა. ამგვარად, ფაქტობრივი შესწავლა და ნორმატიული რწმენები ერთსა და იმავე ტრადიციულ პოზიტივისტურ მანერაში განიხილებიან: თუ არსებობს ურთიერთობა ფაქტსა და ღირებულებას შორის, ეს შესაძლოა იყოს ღირებულებიდან გამომდინარე ფაქტი და არა, ფაქტიდან გამომდინარე ღირებულება. რის საფუძველზეც მეცნიერული დასკვნები ნეიტრალურად მიიჩნევა: რადგან, ფაქტები, რომლებსაც აღმოვაჩენთ, სრულებითაც არ უწყობს ხელს რაიმე ღირებულების დამკვიდრებას ან მხარდაჭერას. შეუძლებელია მოძრაობა ფაქტიდან ღირებულების მიმართულებით. ამასთანავე, ხშირად მიიჩნევა, რომ ჩვენმა ფასეულობებმა, შესაძლოა, გავლენა იქონიონ ჩვენსავე დასკვნებზე. ეს შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც მანკიერი ჩარევა, მსგავსად ნებისმიერი საქმის მიმართ, რომელსაც მიკერძოებით მივუდგებით, რაც იმთავითვე განიზრახავს სიმართლის გადაფარვას. ან კვლევითი არეალის შერჩევისას ჩვენი ღირებულებების გათვალისწინება, როგორც მანუგეშებელი ან გარდაუვალი მოქმედება. ასევე, ეს შეიძლება მივიჩნიოთ ფაქტორად, როდესაც თითქოს მავნე ზემოქმედების ანაზღაურება შესაძლებელი იყოს მისი მკაფიოდ გაცნობიერებით. ამრიგად, დღეს მრავალი თეორეტიკოსი გვირჩევს, რომ ნაწარმოების დასაწყისშივე განისაზღვროს მწერლის ღირებულებითი პოზიცია, რაც მკითხველს (და ასევე, მწერალსაც) მუდმივ სიფხიზლეში ამყოფებს.

ამრიგად, ახალი თაობის უფრო ფრთხილ თეორეტიკოსებშიც, ღირებულებითი რწმენები ისეთივე დაუსაბუთებელი რჩება, რო-

გორც ზენიტში მყოფ ,,ღირებულებებისგან დისტანცირებულ" მოაზროვნეებში. პრაქტიკულად, ისინი გარეგანი ფაქტორებიდან ამოიზრდებიან. გამომდინარეობენ იმ ღრმა არჩევანიდან, რომელიც დამოუკიდებელია ფაქტებისგან. დევიდ ისტონი, ცდილობს აჩვენოს, რომ „როგორც არ უნდა შევეცადოთ, ღირებულებებისგან განცალკევება ისევე მარტივად ვერ მოხდება, როგორც ქურთუკის გახდა ერთი მარტივი მოძრაობით“ (The Political System, New York: Knopf, 1953, გვ. 225), თუმცა კი შესაძლებელია მისი მიღება ,,სამუშაო ვერსიის" დასაწყისში, რაც დღეს, როგორც წესი, გადმოღებულია სოციალურ მეცნიერებში" (გვ 221). ამრიგად, მეცნიერულ დასკვნებზე ღირებულებების დაფუძნება კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას. ემოციური რეაგირება შეიძლება აიხსნას ცხოვრებისეული გამოცდილებით, მაგრამ არ არის გამართლებული, ისინი საზოგადოების შესახებ ფაქტებად წარმოვადგინოთ:

> *,,მსჯელობის მორალური ასპექტი... რეალურ ან სავარაუდო ფაქტებზე ადამიანის მხოლოდ ემოციურ რეაგირებას გამოხატავს... მიუხედავად ამისა, მსჯელობის იმ ნაწილზე, რომელიც ფაქტთანაა დაკავშირებული, შეგვიძლია ვთქვათ ჭეშმარიტია თუ ყალბი, თუმცა იგივე ყოველგვარ აზრს კარგავს მსჯელობის ღირებულებითი ასპექტების შეფასებისას.“ (იქვე)*

ამ სიტყვების მნიშვნელობა ნათელია. თუ სამეცნიერო დასკვნებით შესაძლებელია ღირებულებითი პოზიციების მხარდაჭერა ან შერყევა, მათ უბრალოდ ვერ შევაფასებთ ემოციურ პასუხებად და ვერ ვიტყვით, რომ აზრსმოკლებულია (მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს) მათ ჭეშმარიტებასა თუ სიყალბეზე საუბარი.

პოლიტიკური ფილოსოფია, როგორც ფუნდამენტური პოლიტიკური ღირებულებების ლოგიკური არგუმენტაცია, შეიძლება მთლიანად გამოიყოს პოლიტიკის მეცნიერებისგან, თუნდაც შემსუ-

ბუქებული პოზიტივისტური ხედვით, რაც სულ უფრო მყარ საფუძველს იძენს პოლიტიკის მეცნიერებს შორის. ,,ღირებულებები", მართალია, აღმოჩენის პროცესს უბიძგებენ, თუმცა ეს მას არ სძენს ან უკარგავს დამაჯერებლობას. ვინაიდან მართალია, რომ ღირებულებები, შესაძლოა, განუყრელიც კი იყოს პოლიტიკის მეცნიერებისგან, მაინც ადვილად შესაძლებელია მათთან დაკავშირებული ლოგიკური არგუმენტების გამოცალკევება. (თუმცა თეორეტიკოსები განსხვავდებიან იმის მიხედვით, რამდენად გონივრულიად მიაჩნიათ ეს. შედარებისთვის. Easton, op.cit.) მართლაც, ძნელია იმის გარკვევა, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ასეთ ლოგიკურ არგუმენტად. ამ თვალსაზრისით, სამეცნიერო დასკვნები მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენი ღირებულებების შესაბამისი, როდესაც ისინი მიგვითითებენ, თუ როგორ განვახორციელოთ ჩვენს მიერ დასახული მიზნები. ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ პოლიტიკის მეცნიერება ,,პრაქტიკული პოლიტიკური მეცნიერების (policy science)" ფორმით, როგორიცაა ინჟინერია ან მედიცინა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ მივაღწიოთ ჩვენს მიზნებს. თუმცა, მიზნებსა და ღირებულებებს სხვა საწყისი გააჩნიათ და ისინი ხშირად იმ არჩევანს ეფუძნებიან, რომელთა საფუძველი ბუნდოვანია.

მოცემული თავის მიზანია კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ფაქტობრივი მიგნებებისა და ღირებულებითი პოზიციების ურთიერთმიმართების ცნება და ამასთანავე, იმთავითვე ნაგულისხმევი ურთიერთმიმართება პოლიტიკის მეცნიერებასა და პოლიტიკურ ფილოსოფიას შორის. კერძოდ, ჩემი მიზანია კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენო ხედვა, რომლის მიხედვითაც პოლიტიკის მეცნიერებების მიგნებები არ გვზღუდავდნენ წარსულში და არ გვზღუდავენ ახლა, ამასთან არ ამკვიდრებენ ღირებულებათა კონკრეტულ ნაკრებს და ძირს არ უთხრიან სხვა ღირებულებებს.

თუ ეს მოსაზრება მცდარია, მაშინ უნდა ვაღიაროთ პოლიტიკის სწავლების სფეროში მეცნიერებისა და ნორმატიული თეორიის შერწყმა.

ამ საკითხზე მსჯელობისას, ფილოსოფოსებში მიღებულია, დატოვონ ჰუმანიტარული მეცნიერებების ყოველგვარი სავანეები და დაიწყონ ,,კარგის", ან ფორმალურის, ან ემოციური მნიშვნელობის და ა.შ. შესწავლა. მე სხვა გზას გთავაზობთ - პირველ რიგში განვიხილოთ ეს საკითხი დისციპლინებთან მიმართებით, რომელიც უკვე წამოვაყენე, კერძოდ, პოლიტიკურ ფილოსოფიასა და პოლიტიკის მეცნიერებასთან. მხოლოდ მას შემდეგ გავიგებთ მისაღებია თუ არა მათი კავშირი ფილოსოფიის ზეცისთვის, რითაც შევეცდებით მათი მიწიერი ურთერთკავშირის შესახებ შევიტყოთ რამე.

II.

თეზისი, რომ პოლიტიკის მეცნიერება ღირებულებით-ნეიტრალურია მაქსიმალურად დამაჯერებელი მხოლოდ მაშინაა, როდესაც ვაკვირდებით მის დეტალიზებულ მიგნებებს. ფრანგი მშრომელები კომუნისტურ პარტიას უჭერენ მხარს - მოცემული ფაქტი შეიძლება განვსაჯოთ, როგორც დასანანი ან წამახალისებელი, თუმცა ეს არ გვიბიძგებს რომელიმე პოზიციის გაზიარებისკენ, ის არსებობს, როგორც ფაქტი, ნეიტრალური, მოქცეული ამ მსჯელობებს შორის.

მხოლოდ ეს რომ იყოს, პოლიტიკის მეცნიერებაში დებატები აქვე დასრულდებოდა. მაგრამ, სხვა მეცნიერებებთან შედარებით, პოლიტიკის მეცნიერებას არ გააჩნია უფრო მეტი რესურსი გააგრძელოს საზრდოობა ფაქტების შემთხვევითი ნაკრების საფუძველზე. ოდესღაც მიიჩნეოდა, რომ მეცნიერება მხოლოდ დაკვირვებად მოვლენებს შორის კორელაციით იყო დაინტერესებული - თავის მხრივ, კი ისინი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ხვდებოდნენ ჩვენს თვალსაწიერში. მაგრამ ეს პოზიცია, როგორც პრიმიტული ემპი-

რიზმის განშტოება, დღეს თითქმის ყველგან მივიწყებულია, მათ შორის ემპირიზმის ტრადიციის მიმდევრებშიც.

იმ მახასიათებელთა რაოდენობა, რომლითაც ფენომენის რომელიმე დიაპაზონის გამოვლენა შეიძლება, და რომელიც შესაძლოა კორელაციით გამოვლინდეს, განუსაზღვრელია. და ეს იმიტომ, რომ თავად იმ გზების რაოდენობაა განუსაზღვრელი, რომლითაც ფემონენის კლასიფიკაციაა შესაძლებელი. ნებისმიერი ფიზიკური ობიექტის კლასიფიკაცია შესაძლებელია ფორმის, ფერის, ზომის, ფუნქციის, ესთეტიკური მახასიათებლების, სხვა პროცესებთან მისი კავშირით და ა.შ. როდესაც საქმე გვაქვს ისეთ კომპლექსურ რეალობასთან, როგორიც პოლიტიკური საზოგადოებაა, აქაც არ გვაქვს განსხვავებული მდგომარეობა. თუმცა ამ მახასიათებლების შორის კორელაცია მხოლოდ შეზღუდულ დიაპაზონში ჩნდება, რომლებსაც გარკვეული ახსნებიც აქვთ.

არც ეს არის გარდაუვლად შესამჩნევი. საკვანძო მახასიათებლები, კანონები ან კორელაციები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია ფენომენების დიაპაზონის ახსნა, შესაძლოა მეცნიერების მოცემულ ეტაპზე ბუნდოვნად იყოს გაანალიზებული და ხშირ შემთხვევაში სრულიადაც დაუდგენელია. მათ შესარჩევად საჭირო კონცეპტუალური რესურსები შესაძლოა ჯერ კიდევ არ იყოს შემუშავებული. მაგალითად, ნათქვამია, რომ მასის თანამედროვე ფიზიკური კონცეფცია უცნობი იყო ძველ დროში და შუა საუკუნეებში ნელი და მძიმე ძიების პროცესის შედეგად წარმოიშვა. და მაინც, მას არსებითი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე მეცნიერებისთვის. მთელი რიგი მკვეთრად გამოხატული თვისებები შეიძლება შეუსაბამო იყოს ან სრულიადაც არ წარმოადგენდნენ იმ მახასიათებლებს, რომლებიც ფენომენის ფუნქციური ახსნისთვის გამოგვადგებოდა. აშკარა განსხვავებები შეიძლება შეუსაბამო ან აბსოლუტურად განსხვავებული მნიშვნელობის გამოდგეს იმ მნიშვნელობებისგან, რომლე-

ბიც მათ მიაკუთვნეს, არისტოტელეს ,,მსუბუქ" და ,,მძიმე" სხეულებს შორის არსებული სხვაობის მსგავსად.

ამრიგად, როდესაც გვსურს, რომ გავცდეთ ზემოხსენებულ მყიფე კავშირის მქონე კორელაციებს, რომელთა მნიშვნელობაც პოლიტიკურ პროცესებში სუსტადაა გამოხატული, როდესაც გვინდა ავხსნათ, თუ რატომ აძლევენ ხმას ფრანგი მუშები კომუნისტურ პარტიას, ან რამ გამოიწვია მაკარტიზმის აღმავლობა 1940-იანი წლების ბოლოს შეერთებულ შტატებში, ან რატომ ვარირებს აბსენტიზმის დონე არჩევნებიდან არჩევნებამდე, ან რატომ არის აფრიკის ახალი რეჟიმები სამხედრო გადატრიალებებისკენ მიდრეკილნი, თვისებები, რომლეთა მიხედვითაც შესაძლებელია ამ შედეგების ახსნა, იმთავითვე არ არიან ხილულნი. ასევე, მათ შესახებ არა მხოლოდ აზრთა ფართო სახესხვაობები არსებობს, არამედ მათთან დაკავშირებით იმაშიც კი არ ვართ ბოლომდე დარწმუნებულნი, რომ ამ მახასიათებლების შესარჩევად საკმარისი კონცეპტუალური რესურსი არსებობს. შეგვიძლია მარტივად ვიდავოთ, რომ ზოგიერთი უფრო თვალშისაცემი თვისება, რომელიც, მაგალითისთვის, ინსტიტუციონალურ სტრუქტურას მიემართება, არ არის მნიშვნელოვანი, ხოლო ისინი, რომლებიც ნაკლებადაა თვალშისაცემი, მაგალითისთვის, საზოგადოების კონკრეტულ ფენებში გავრცელებული ხასიათის სტრუქტურასთან დაკავშირებული მახასიათებლები, უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდება ჭეშმარიტი ახსნების შემოთავაზებისთვის. მაგალითისთვის, ჩვენ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ მაკარტიზმს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს შორის ბრძოლის თვალსაზრისით და უფრო მეტად შევხედოთ ხასიათის ზოგიერთი თავისებურებების სტრუქტურის განვითარებას ამერიკის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში. ან სხვაგვარად, უარვყოთ ეს ორივე განმარტება და დავაკვირდეთ ახალი სტატუსის მქონე ჯგუფის როლს ამერიკულ საზოგადოებაში, ახლად გამდიდრებულს, თუმცა სრულიად გამორიცხულს აღმოსავლური ისტებლიშმენტის-

გან. ან შეგვიძლია ესეც უარვყოთ და დავინახოთ ის, როგორც მსოფლიოში შეერთებული შტატების ახალი პოზიციის შედეგი.

თეორიის ამოცანა პოლიტიკის მეცნიერებაში იმის აღმოჩენაა, თუ რა სახის მახასიათებლები უნდა ვეძებოთ ჩვენ მიერ დასახულ ახსნებში. მისი უგულებელყოფა შეუძლებელია, მით უმეტეს თუ რაიმე ახსნებისთვის ვქმნით სახელდებებს. ზემოთ ჩამოთვლილ რომელ განზომილებებში უნდა ვიპოვოთ მაკარტიზმის ახსნა? უფრო სწორად, რადგან ყველა ეს განზომილება აშკარად აქტუალურია, როგორ დავაკავშიროთ ისინი პოლიტიკური მოვლენების ახსნასთან? თეორიის ამოცანაა, სხვადასხვა განზომილებებში შესაბამისი მახასიათებლების განსაზღვრა და მათი დამოკიდებულების ჩვენება იმგვარად, რომ შეგვექმნას წარმოდგენა, თუ რა არის ერთი მეორეს მიზეზი, თუ როგორ მოქმედებს მახასიათებლები პოლიტიკურ პროცესზე, ან რა გავლენას ახდენს სოციალური სტრუქტურა მახასიათებელზე, ან ეკონომიკური ურთიერთობების გავლენა სოციალურ სტრუქტურაზე, ან პოლიტიკური პროცესების გავლენა ეკონომიკურ ურთიერთობებზე და პირიქით. როგორ მოქმედებს იდეოლოგიური დაყოფა პარტიულ სისტემებზე, ან ისტორია როგორ აისახება იდეოლოგიურ დაყოფაზე, ან კულტურა რა გავლენას ახდენს ისტორიაზე, ან პარტიული სისტემები რა გავლენას ახდენენ კულტურაზე და პირიქით. სანამ ამ მიმართულებით მინიმუმ საცდელ ნაბიჯებს არ გადავდგამთ, წარმოდგენაც არ გვექნება, თუ სად უნდა ვეძებოთ ჩვენი ახსნები, არ გვეცოდინება რომელი ფაქტების შეგროვება დაგვჭირდება მიზნის მისაღწევად.

ამიტომ, გასაკვირიც არ არის, რომ პოლიტიკის მეცნიერება ის სფერო უნდა იყოს, რომელშიც დიდი და მზარდი ,,თეორიული ჩარჩოები" კონკურენციაში იქნებიან ერთმანეთთან ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად. მარქსისტული მიდგომისა და ინტერეს ჯგუფების ბენტლისეული თეორიის გარდა, ბოლო დროს ჩვენ დავინახეთ ,,სტრუქტურულ-ფუნქციური" მიდგომების ზრდა სისტემური თე-

ორიის გავლენის ქვეშ. დავინახეთ მიდგომები, რომლებიც ცდილობდნენ ფსიქოლოგიური განზომილებების პოლიტიკურ ქცევასთან დაკავშირებას (მაგ. ლასველი) და სოციოლოგიური ცნებებისა და მეთოდების სხვადასხვაგვარი გამოყენების მცდელობებს (მაგ. ლიფსეტი და ალმონდი), თამაშის თეორიის ვარიაციების შემოთავაზებას (მაგ. დაუნსი და რიკერი) და ა.შ.

ეს განსხვავებული მიდგომები ხშირად კონკურენციას უწევენ ერთმანეთს, ვინაიდან ისინი განსხვავებულ ანგარიშებს გვთავაზობენ ახსნისთვის გადამწყვეტი მახასიათებლებისა და კაუზალური (ან მიზეზ-შედეგობრივი) კავშირების შესახებ. მათ შესახებ, ისევე, როგორც მათ ანალოგებზე სხვა მეცნიერებებში, შეგვიძლია ვისაუბროთ, როგორც ,,კონცეპტუალურ სტრუქტურებსა" თუ ,,თეორიულ ჩარჩოებზე", რადგან ისინი აცხადებენ, რომ შემოსაზღვრავენ სივრცეს, სადაც ნაყოფიერი იქნება სამეცნიერო კვლევა. სამუშაო ჩარჩო არ გვაძლევს ერთდროულად ყველა იმ ცვლადს, რომელიც გამოსადეგი იქნება ან იმ კანონებს, რომლებიც პრეტენზიას განაცხადებენ ჭეშმარიტებაზე, მაგრამ ის გვეუბნება, თუ რისი ახსნაა საჭირო და დაახლოებით, რა ფაქტორების მეშვეობით. მაგალითად, თუ ინერციის პრინციპს დავეყრდნობით, სხეულების აღქმის გარკვეული ხერხები და, შესაბამისად, გარკვეული შეკითხვები დასაშვები მსჯელობის მიღმა აღმოჩნდება. მათი დევნა ისეთივე უშედეგოა, როგორც ჭავლის ბურთის მოძრაობის გამომწვევი ახსნის ძიება წინა გალილეურ ფიზიკაში. ანალოგიურად, ორთოდოქსული მარქსისტული მიდგომა არ დაუშვებს მაკარტიზმის ახსნას ადრეული აღზრდისა და მის შედეგად მიღებული პიროვნული სტრუქტურის პერსპექტივიდან.

გარდა ამისა, თეორიული ჩარჩო შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც არსებითი განზომილებების ის ნაკრები, რომლის მეშვეობითაც ფენომენმა შესაძლოა სახე იცვალოს. ეს განსაზღვრებები ქმნის არსებით ფუნქციურ ურთიერთმიმართებებს, რომლითაც შე-

საძლებელია მათი ახსნა, ხოლო ამავე დროს გამორიცხავს ისეთ მიმართებებს, რომლებიც სხვა, მეტოქე ჩარჩოებს მიეკუთვნება. ფუნქციური მიმართებების მოცემული ნაკრები განსაზღავს გარკვეულ განზომილებებს, რომლის მეშვეობითაც ფენომენს შეუძლია შეიცვალოს. განსაზღვრული ჩარჩო ამტკიცებს ვარიაციის ზოგიერთ განზომილებას, სხვებს კი საერთოდ გამორიცხავს პროცესიდან. ამრიგად, მარქსისტებისთვის, კაპიტალისტური საზოგადოებები არ განსხვავდება იმის მიხედვით, თუ ვინ ახორციელებს ძალაუფლებას, არ აქვს მნიშვნელობა როგორი კონსტიტუცია ან რომელი პარტიაა ხელისუფლებაში. შესაძლო ვარიაციები ამ განზომილებებში, რომლებიც სხვა დიდი თეორიებისთვის ცენტრალური მნიშვნელობისაა, ამ შემთხვევაში მოჩვენებითია. გადამწყვეტი განზომილება აქ სწორედ ისაა, რომელიც კლასის სტრუქტურას უკავშირდება.

უფრო ზუსტ მეცნიერებებში თეორიული აღმოჩენა შეიძლება კანონის სახით ჩამოყალიბდეს და ეწოდოს პრინციპები. მაგალითად, ინერციის ან სინათლის სწორხაზოვანი გავრცელების შემთხვევები. მაგრამ არაზუსტ მეცნიერებებში, მაგალითად პოლიტიკის სწავლებაში, თეორიული აღმოჩენა შეიძლება შედგებოდეს ფენომენის ზოგადი აღწერილობისგან და ფორმულირებული იყოს მნიშვნელოვანი კონცეფციების სახით. ან ის შეიძლება აშკარად არ იყოს გამოხატული მოცემული თეორიის მიერ შემოთავაზებულ განსხვავებებში. (მაგ. არისტოტელეს პოლიტიკური ტიპების კლასიფიკაცია) ან თავად ფენომენის წარმოქმნის ისტორიაში (მაგ. საზოგადოებრივი ხელშეკრულების მითი), ან მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ზოგად მტკიცებაში. (მაგ. მარქსის წინასიტყვაობა პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკაზე).

თუმცა, რაც ცხადია, თეორიული აღმოჩენა შეიძლება განიხილებოდეს, როგორც რაიმესთან დაკავშირებული ფენომენის მნიშვნელოვანი ვარიაციების შემომსაზღვრელი ელემენტი.

III.

როგორც ვნახეთ, ამგვარი თეორიული აღმოჩენა თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერების ერთ-ერთი საზრუნავია. მაგრამ ეს ასევე ტრადიციული საზრუნავია იმისა, რასაც სხვა სიტყვებით ნორმატიულ პოლიტიკურ ფილოსოფიას ვუწოდებთ, რთული გასაგები არ არის რატომ. ტრადიციული ნორმატიული თეორეტიკოსები ასევე დაინტერესებულნი იყვნენ ვარიაციის გადამწყვეტი განზომილებების გამოკვეთით - რა თქმა უნდა, ისინი ეძებდნენ განზომილებებს, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო არა იმდენად პოლიტიკისა და პოლიტიკური ღირებულებების ახსნისთვის, რამდენადაც მათი განსჯისთვის. სინამდვილეში, ორივე ტიპის კვლევა იმდენად მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული ერთმანეთთან, რომ პირველი მიზნის მისაღწევად მეორესთვისაც უნდა მიემართათ.

მაგალითად, არისტოტელეს მიეწერება პლატონის მიერ სამგზის გადახედილი პოლიტიკური საზოგადოების კლასიფიკაციის გადასინჯვა, რამაც გაზარდა მისი ახსნითი ღირებულება. მან ჩაანაცვლა რიცხვის კრიტერიუმი კლასობრივი კრიტერიუმით, რამაც კლასიფიკაციისთვის უფრო მკაფიო სურათი მოგვცა და ამ მხრივ, უფრო შორსაც შეგვიძლია წავიდეთ: მან ნათლად აჩვენა, თუ რა იდო სასწორზე დემოკრატიასა და ოლიგარქიას შორის. მან გახსნა განმარტებების მთელი სპექტრი, რომელიც დაფუძნებული იყო კლასობრივ შემადგენელზე, მათ შორის ისეთზე, რის გამოც არისტოტელე ისტორიაშიც ცნობილია, როგორც საშუალო კლასისთვის დამაბალანსებელი ფუნქციის მიმნიჭებელი.

მაგრამ ნორმატიული თეორიის განსხვავებებზე ორივე მოაზროვნის გადახედვა დაკავშირებული იყო ერთმანეთთან. პლატონი ცდილობდა მიეღწია კლასობრივი ბრძოლისგან დაცლილ საზოგადოებისთვის, ან სრულ ჰარმონიაში მყოფი რესპუბლიკისთვის, ან საერთო კანონთა კლასობრივი სახელმწიფოსთვის. პოლიტიკის ერთ მონაკვეთში არც არისტოტელე ჩამოუვარდება პლატონს იდე-

ალური სახელმწიფოს ოცნების ძერწვაში, თუმცა ამ და ნაშრომის სხვა ნაწილებს შორის მცირედი კავშირი თუ იკვეთება. არისტოტელე მყარად ემყარება აზრს, რომ კლასობრივი განსხვავებები და, შესაბამისად, სხვაობა ინტერესსა და დაძაბულობას შორის, აუცილებლად იარსებებს. ამ თეორიული პერსპექტივიდან, პლატონის იდეა დისციპლინით, განათლებით, უზენაესი კონსტიტუციით და ა.შ. რესპუბლიკაში კლასობრივი დაძაბულობის დაძლევის შესახებ ძალზე დაშორებულია რეალობას. (არც თუ ისე ,,გემრიელი ლუკმაა", როგორც არისტოტელე ნათლად აჩვენებს ამას II წიგნში, თუმცა მას სხვა მიზეზები აქვს).

არისტოტელეს გამჭრიახობა პოლიტიკის მეცნიერებაში შეუთავსებელია პლატონის ნორმატიულ თეორიასთან, ყოველ შემთხვევაში, რესპუბლიკაში, ამიტომ პოლიტიკა საკმაოდ განსხვავებულ ხასიათს ატარებს (რა თქმა უნდა, სხვა მიზეზების გამოც). განსხვავება შეიძლება ამგვარად გამოიხატოს: როგორც პლატონის, ისე არისტოტელეს აზრით, სოციალური ჰარმონია გადამწყვეტი მნიშვნელობის ღირებულებას წარმოადგენდა. პლატონს მიაჩნდა, რომ ჰარმონია საყოველთაო კლასობრივი კონფლიქტის დასასრულს მიიღწევა განსხვავებით არისტოტელესგან, რომელიც თვლიდა, რომ სწორედ მსგავსი კონფლიქტის „მოშინაურება“ წარმოშობდა ჰარმონიას. მაგრამ ამ დავაში გადამწყვეტი მნიშვნელობა კლასობრივი უთანხმოების მიზეზშედეგობრიობას აქვს: წარმოადგენს თუ არა ის იმ ლაქას სოციალურ ჰარმონიაში, რომლის წაშლაც ჯერ კიდევ შესაძლებელია, მაგალითად, კონფლიქტის ძალადობრივი ფორმების მსგავად? თუ უკვე წარუშლელი, ყველგან მსუფევია და მხოლოდ მისი ფორმები თუ ექვემდებარება ცვლილებას? პირველ შემთხვევაში, ჩვენი ამხსნელი თეორიის ვარიაციულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განზომილებაა კლასობრივი კონფლიქტის არსებობა ან არარსებობა. მეორე შემთხვევაში კი ეს განზომილება სრულიად საფუძველგამოცლილად განიხილება. თუ ეს ნამდვილად ასეა, ნორმა-

ტიული თეორია დანგრევის პირასაა, ან შეიძლება ითქვას, გადაადგილებულია პოლიტიკური ფილოსოფიის სფეროდან უტოპიისკენ. შეუძლებელია მივუდგეთ საზოგადოებას კლასობრივი კონფლიქტის გარეშე. უფრო მეტიც, მასთან ნებისმიერი ტიპის მიახლოების მცდელობას ყოველთვის საშიში შედეგი მოჰყვება: ილუზორულ იმედებზე დამყარებული მასშტაბური პოლიტიკური ცვლილებები.

ამრიგად, პლატონის თეორია სახელმწიფოს შესახებ, განიხილება როგორც თეზისი, სადაც ვარიაციის გარკვეული განზომილებები ნორმატიულად მნიშვნელოვანია, შეიცავს ვარიაციის საჭირო საზომებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ახსნისთვის, რადგან ის მხოლოდ იმ ჩარჩოებთანაა თავსებადი, როლებიც ნორმატიული თვალსაზრისით გადამწყვეტ განზომილებებს აღიარებენ. ეს კი შეუთავსებელია პოლიტიკის ნებისმიერ შეხედულებასთან, რომელიც პოლიტიკას განსხვავებული კლასების, ინტერეს ჯგუფების და ინდივიდების პაექრობად განიხილავს.

ცხადია, რომ ეს ეხება ნებისმიერ ნორმატიულ თეორიას, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ ამხსნელ თეორიასთან ან თეორიებთან და შეუთავსებელია სხვებთან. არისტოტელეს განზომილება, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა კონსტიტუცია ცხოვრების სხვადასხვა ფორმას გამოხატავდა, ქრება ჰობსის ატომისტიკურ კონცეფციაში. რუსოს სოციალური კონტრაქტის მნიშვნელოვანი განზომილებები, ხალხის სუვერენიტეტსა და ამა თუ იმ ფორმის ხელისუფლებას შორის მკაფიო კანონზომიერების (უწყვეტობის) არარსებობა, ვერ გადაურჩა მოსკას, მიხელსის თუ პარეტოს თეორიების გადამოწმებას. (ვალიდაციას).

მაშასადამე, ტრადიციული პოლიტიკური ფილოსოფია იძულებული გახდა ჩართულიყო თეორიული დამუშავების პროცესში, რაც თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერებისთვის არსებით ელემენტს წარმოადგენს. რაც უფრო დახვეწილი და სრულია ნორმატიული თეორია, მით უფრო სრულყოფილი და ცხადია თანმხლები

კონცეპტუალური ჩარჩო. სწორედ ამიტომ შეუძლია პოლიტიკის მეცნიერებას ისწავლოს არისტოტელეს, ჰობსის, ჰეგელის, მარქსის თუ სხვების ნაშრომებისგან. ტრადიციულად, კვლევის ერთი ფორმა პრაქტიკულად განუყოფელია მეორისაგან.

2

ეს სულაც არ არის გასაკვირი. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ტრადიციული პოლიტიკური ფილოსოფოსები მონაწილეობდნენ, სულ მცირე, პოლიტიკური მეცნიერების ჩანასახოვანი განვითარების პერიოდიდანვე. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ეს მხოლოდ პრობლემაა. ესაა მიზეზი, რის გამოც პოლიტიკის მეცნიერება ამდენი ხნის განმავლობაში ვერ დაიძრა საწყისი სტადიიდან. მისი სამუშაო ჩარჩო ყოველთვის გარკვეული ნორმატიული თეორიის ინტერესებიდან ყალიბდებოდა. პროგრესის მისაღწევად მეცნიერება უნდა განთავისუფლებულიყო ყოველგვარი ცრურწმენებისგან და ღირებულებით-ნეიტრალურად უნდა ქცეულიყო. ნორმატიული თეორია მოითხოვს პოლიტიკურ მეცნიერებას, რომლის გარეშეც შეუძლებელია მისი განვითარება, თუმცა იმავეს ვერ ვიტყვით პოლიტიკის მეცნიერებაზე. პოლიტიკურ მეცნიერებას შეუძლია და უნდა იყოს კიდეც გამოყოფილი ძველი დისციპლინისაგან. მოდით პოლიტიკის, როგორც მეცნიერების შემუშავების რამდენიმე მცდელობა განვიხილოთ რათა გავიგოთ, თუ რამდენად შეესაბამება ზემოთქმული სიმართლეს.

გადავხედოთ სიმურ მარტინ ლიფსეტის ნაშრომს ,,პოლიტიკური ადამიანი" (New York: Doubleday, 1959). ამ ნაშრომში, ლიპსეტი თანამედროვე დემოკრატიის პირობებს აყალიბებს. იგი არსებულ საზოგადოებას კონფლიქტისა და კონსესუსის ორ მთავარ განზომილებაში განიხილავს, სადაც ორივე თანაბრად მნიშვნელოვანია დემოკრატიისთვის. ისინი არ არიან უბრალო მოწინააღმდეგეები, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. აქ კონფლიქტი არ განი-

ხილება, როგორც უბრალო განსხვავება ინტერესებს შორის, ან ექსპლუატაციის ობიექტური ურთიერთობების არსებობაში, არამედ - როგორც მათი რეალური განვითარება ძალაუფლებისთვის ბრძოლასა და პოლიტიკის გარშემო.

> *,,რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სტაბილური დემოკრატია მოითხოვს კონფლიქტის ან განხეთქილების გამოვლენას, რის შედეგად წარმოიქმნება ბრძოლა პოზიციების დასადგენად, ანდაც გამოწვევების წინაშე დადგება ან სულაც შეიცვლება სახელისუფლებლო პარტია. მაგრამ კონსესუსის გარეშე - პოლიტიკური სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს ძალაუფლების მშვიდობიან ,,თამაშს", ,,ოპოზიციის" მიერთებას ,,პოზიციის" მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა თუ ,,პოზიციის" აღიარებას ,,ოპოზიციის" უფლებების ხარჯზე - დემოკრატია ვერ იარსებებს. ამიტომ დემოკრატიის ხელშემწყობი პირობების შესწავლა ფოკუსირდეს უნდა როგორც განხეთქილებებზე, ასევე კონსესუსის წყაროებზე. (პოლიტიკური ადამიანი, გვ. 21)*

და ისევ, ,,განხეთქილება - სადაც ის ლეგიტიმურია - ხელს უწყობს საზოგადოებებისა და ორგანიზაციების ინტეგრაციას" (იქვე). ისეთი კონფლიქტების არსებობა, სადაც რომელიმე ჯგუფი იგდებს ხელში მართვის სადავეებს, ან სადაც ყოვლისშემძლე სახელმწიფო ქმნის ერთსულოვნებას, ან სულ მცირე, ხელს უშლის მრავალფეროვნების შესაძლებლობას, ნიშანია იმისა, რომ საზოგადოება არ არის თავისუფალი. დე ტოკვილს ეშინოდა (პოლიტიკური ადამიანი, გვ.27), რომ სახელმწიფოს ძალაუფლება წარმოშობდა აპათიურობას, რითაც კონსესუსის შესაძლებლობასაც მოსპობდა.

> *დემოკრატია რთულ საზოგადოებაში შეიძლება განისაზღვროს, როგორც პოლიტიკური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ფორმალურ კონსტიტუციურ შესაძლებლობებს მმართველი თანამდებობის პირების შეც-*

ვლისთვის და, მეორე მხრივ, სოციალურ მექანიზმს, რომელიც საშუალებას აძლევს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს გავლენა მოახდინოს მთავარ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, პოლიტიკური კანდიდატების არჩევანის გზით. (იქვე, გვ. 45)

ამგვარი საზოგადოება მოითხოვს ჯგუფური ინტერესების ორგანიზებას, რათა შეძლონ საკუთარი მიზნებისთვის ბრძოლა, იმ პირობით, რომ ეს მშვიდობიანი გზით, თამაშის წესებითა და შუამავლის მიერ საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე იქნება მიღებული. თუ ჯგუფები არ ორგანიზდნენ, მათ არ ექნებათ რეალური ადგილი. მათი ინტერესები უგულებელყოფილი იქნება და ვერ შეძლებენ საკუთარი წილი ძალაუფლების გამოყენებას, რითაც გაუცხოვდებიან სისტემისგან.

ინტერესებს მუდმივად ახლავს ზოგადი უთანხმოება, რომელიც მას უნდა მოერგოს. თუ რაიმე სახის კონფლიქტი მცირდება, ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ზოგიერთი მხარე როგორღაც მარცხდება ან აღიკვეთება შეჯიბრებიდან. ლიპსეტისთვის, კონფლიქტის არარსებობა არის დამარწმუნებელი ნიშანი იმისა, რომ ზოგიერთი ჯგუფი გამოირიცხება საზოგადოებიდან. შეიძლება ეს შეხედულებები წინააღმდეგობრივად იყო აღქმული ჟან-ჟაკ რუსოს ხედვასთან, რომელიც არ ეთანხმება ,,ფრაქციულ" ორგანიზაციებს, ხოლო კონსესუსი იზოლირებული ინდივიდების წარმონაქმნად მიაჩნია. ეს ასევე წინააღმდეგობაში მოდის თანამედროვე კონსერვატულ შეხედულებასთან, რომ ადამიანების კლასობრივი ორგანიზება უსაფუძვლოდ ყოფს საზოგადოებას. ლიპსეტი, რუსოსთან მიმართებით მიიჩნევს, რომ ზოგადი ნების შესახებ საყოველთაო შეთანხმების არარსებობა სრულებითაც არ ნიშნავს, რომ რამე არასწორად მოხდა.

ეს განსხვავება მჭიდროდ არის დაკავშირებული ზემოთ უკვე ნახსენებ პლატონთან და არისტოტელესთანაც. მართლაც, ლიპსეტი

რამდენჯერმე მიუთითებს მისი და არისტოტელეს პოზიციების მსგავსებაზე. და ცხადია, რომ ეს იგივე სახის სხვაობაა, რომელშიც ნორმატიული თეორია ძირგამოთხრილია, რადგანაც მისი ვარიაციულობის საკვანძო განზომილებები ეჭვქვეშაა დაყენებული. მსგავსი მოსაზრება შეიძლება კონსერვატორთა შორის განსხვავებებსაც მივუყენოთ, რომლებიც მიუხედავად სახელმწიფოს მიმართ სხვადასხვაგვარი ხედვისა, საერთო წინააღმდეგობა გააჩნიათ კლასობრივი პარტიების მიმართ. ეს რწმენა გულისხმობს, რომ უთანხმოება უსაფუძვლოა და რეალური განსხვავებები სხვა რამეში მდგომარეობს, კერძოდ უფრო ვიწრო ან უფრო ფართო ინტერესებში, რაც ბუნდოვანია, რადგან კლასობრივი დაყოფა ართულებს მის რაციონალურად კორექტირებას. უფრო მეტიც, ამ განზომილებების გამოყენებამ შეიძლება სახელმწიფოს დაშლა გამოიწვიოს. კონსერვატორებს პოლიტიკაში კლასებისადმი დამოკიდებულება გააჩნიათ, როგორც ლიბერალებს - რასის მიმართ. კიდევ ერთხელ, ლიპსეტის შეხედულება ძირს უთხრის ამგვარ პოზიციას, რამდენადაც მიიჩნევს, რომ კლასობრივი განსხვავებები ცენტრალურია პოლიტიკისთვის და მათი უგულებელყოფა შეუძლებელია (გარდა მოთამაშეთა რიცხვის შემცირებისა). ამის გამო, ისინი დემოკრატიული პოლიტიკის შინაარსია, თუ ზომიერად და მშვიდობიანად იქნება გამოხატული. მდიდარსა და ღარიბებს შორის ბრძოლა აღმოუფხვრელია, მაქსიმუმ, შეიძლება სხვადასხვა ფორმით განსხეულდეს.

ამ საზღვრების გარღვევა ირაციონალური და უფუნქციოა. ირაციონაურია, რადგან დაფუძნებულია მყარ წინაპირობებს და დისფუქციურია, რამდენადაც უკონფლიქტობას ან კლასობრივი კონფლიქტის არარსებობას შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ იმგვარ სისტემაში, რომელსაც უმრავლესობა მიიღებს, როგორც ღირებულს. რაც შეიძლება მოხდეს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ჩაგვრით, მათი აპათიითა და ორგანიზების არარსებობით. ეს რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი ბედია იმ თეორიების, რომლებიც მცდარ ბა-

ზისს არიან დაფუძნებულნი პოლიტიკაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი არა თუ მცდარია, არამედ უსათუოდ საშიშიცაა.

ჩანს, რომ ლიპსეტის თეორიის ღირებულებითი მიგნებები ფართოდ გავრცელებულია, მიუხედავად იმისა, რამდენად შეზღუდულიც არ უნდა ვიყოთ იმ ალტერნატივებით, რაც უარყოფს ან ძირს უთხრის მას. ზოგიერთი ფაქტორის გამოკვლევამ, რომლებიც თეორიის შესაბამისად დემოკრატიის განმტკიცებას ისახავს მიზნად, შეიძლება გაზარდოს უარყოფილი ალტერნატივების ეს ჩამონათვალი. ლიფსეტი აღნიშნავს, რომ ეკონომიკური განვითარება ხელს უწყობს დემოკრატიის გაჯანსაღებას, ვინაიდან ის ავიწროებს უფსკრულს სიმდიდრესა და ცხოვრების დონეს შორის, ქმნის საშუალო კლასს და ზრდის ზემოქმედებას, რომელიც ამცირებს კლასობრივ კონფლიქტს. საზოგადოება ვერ იფუნქციონირებს, როგორც დემოკრატიული, თუ კლასობრივი განსხვავებების არსებობასთან ერთად, იარსებებს რაიმე ტიპის კონსესუსი, რომელიც მას აღემატება. ლიფსეტის ,,ჯვარედინი ზეწოლა", რომელიც, მაგალითისთვის, გამოხატულია რელიგიური მიკუთვნებულობით და რომელიც ანაწევრებს კლასობრივ ბარიერებს - ოპიუმებია, გარკვეული მიმართულების მარქსისტებისთვის. ისინი ინტეგრატორები არიან, რომლებიც ხელს უშლიან სისტემის დანაწევრებას სოციალურ ნაკრებში და ასევე, ხელს უშლიან კლასობრივ ბრძოლას. მაგრამ ჩვენ საქმე არ გვაქვს ორ უბრალო ღირებულებით განსჯასთან, სადაც ერთი და იგივე ფაქტები ერთსა და იმავე გზითაა გაგებული. გადამწყვეტი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ლიპსეტისთვის კლასობრივი ბრძოლის მიღმა რაიმე ეტაპი არ არსებობს და შეუძლებელიცაა, რომ არსებობდეს, რადგან კონფლიქტის ერთხმად გაუქმება შეუძლებელია. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ინტეგრირებადი ფაქტორები ქმნიან ,,ოპიუმებს", ქმნიან ყალბ ცნობიერებას და ანადგურებენ დიდ რევოლუციურ პოტენციალს. დასამალი არაფერია. ლიპსეტის მოსაზრება უარყოფს რევოლუციურ მარქსიზმს პირდაპირი გზით - ისევე, რო-

გორც იგი უარყოფს ზემოთ მოცემულ მოსაზრებას, რომ ვარიაციულობის განმსაზღვრელი განზომილებები რეალურია.

თუ ამ ბოლო მაგალითს უფრო ყურადღებით დავაკვირდებით, შევძლებთ ლიპსეტის მოსაზრებებში კიდევ უფრო ფართო ნორმატიული შედეგების დანახვას. თუ ჩვენ გამოვრიცხავთ უკლასო საზოგადოებად გარდაქმნას, დავრჩებით სხვადასხვა სახის კლასობრივი კონფლიქტის არჩევანის წინაშე: მივიღებთ ან ძალადობრივ ფორმას, რომელიც ისე დაანაწევრებს საზოგადოებას, რომ მისი გადარჩენა მხოლოდ ტირანიის პირობებში იქნება შესაძლებელი, ან ისეთს, რომელსაც არსებობა მხოლოდ სიმშვიდეში შეეძლება. ამ თვალსაზრისით განსაზღვრული არჩევანი ვირტუალურად წარმოჩინდება ჩვენს წინაშე. შეიძლება იმის აღნიშვნაც, რომ ეს არ მოიცავს შესაძლებლობათა გარკვეულ სპექტრს, რადგან არსებობს შემთხვევები, როდესაც კლასობრივი კონფლიქტი ფარულია რომელიმე მხარის ნაკლები ხილვადობის გამო. მაგრამ ეს არის არასაკმარისი განვითარების, განათლების ან ცოდნის ნაკლებობის ან არაპრივილეგირებულთა ინიციატივის არ ქონის შედეგი. უფრო მეტიც, ეს იწვევს მათი მდგომარეობის გაუარესებას პრივილეგირებულებთან შედარებით. ,,პოლიტიკური ადამიანის" წამყვანი გამოცემის შესავალ ნაწილში, სადაც ლიპსეტი თავის პოლიტიკურ პოზიციას აფიქსირებს, წერს, რომ ,,მე მჯერა მარქსის, როდესაც ამბობს, რომ ყველა პრივილეგირებული კლასი ცდილობს შეინარჩუნოს და გააღრმავოს თავისი უპირატესობები, არაპრივილეგირებულების ნების წინააღმდეგ, ან მათი შესუსტებით". (წამყვანი გამოცემა, გვ. xxii).

ამრიგად, ლიპსეტისთვის პოლიტიკურ საზოგადოებებში ვარიაციის მნიშვნელოვანი განზომილებები შეილება წარმოვიდგინოთ, როგორც L-ფორმით. ერთი მხრივ, არსებობს საზოგადოებები, სადაც დაყოფა ხილულია, მაგრამ იმდენად ღრმაა, რომ მათი მიჩქმალვა შეუძლებელია ძალადობის, თავისუფლების აღკვეთისა და დესპოტური მმართველობის გარეშე. მეორე მხრივ, ვხედავთ საზო-

გადოებებს, რომლებიც არიან მშვიდობიანი, მაგრამ ოლიგარქიული და მიზნად ისახავენ მმართველი უმცირესობის კეთილდღეობას. მათი გადაკვეთის კუთხეზე კი დგანან ისეთი საზოგადოებები, რომლებიც განსხვავებულად გამოხატავენ საკუთარ თავს, მათ აქვთ მშვიდობიანი ცხოვრების უნარი და ხასიათდებიან ინდივიდუალური თავისუფლებისა და პოლიტიკური ორგანიზების მაღალი ხარისხით.

ამდაგვარი არჩევანის წინაშე, რთულია აირჩიო რომელიმე მხარე გარდა კუთხისა. ამის არ გაკეთება კი ნიშნავს ან ძალადობისა და დესპოტიზმის არჩევას მშვიდობის, თანხმობისა და თავისუფლების ხარჯზე, ან იმგვარი საზოგადოების არჩევას, რომელიც უფრო მეტად უმცირესობის სასარგებლოდ მოქმედებს, ნაცვლად იმისა, რომ ყველას ემსახურებოდეს ან მოჰქონდეს მათთვის სარგებელი. შესაბამისად, ვირჩევთ საზოგადოებას, რომელიც ეწევა ექსპლუატაციას ან მანიპულაციას იმგვარ საზოგადოებაზე, რომელიც მიზნად ისახავს საერთო სიკეთის უზრუნველყოფას, როგორც მას უმრავლესობა განსაზღვრავს. მხოლოდ კუთხის არჩევის შემთხვევაში შეიძლება გვქონდეს საზოგადოება, რომელიც ნამდვილად უზრუნველყოფს საერთო კეთილდღეობას, სხვა შემთხვევაში, ერთ ბოლოში არაორგანიზებულ მასაზე დამყარებულ ოლიგარქიასთან, ხოლო მეორე ბოლოში - დესპოტიზმთან მივდივართ.

თავად ლიპსეტი მკაფიოდ აჩვენებს ამ არჩევანს:

> *,,ამ წიგნის ძირითადი წინაპირობა ისაა, რომ დემოკრატია არ არის ერთადერთი ან უმთავრესი საშუალება, რომლის დახმარებითაც სხვადასხვა ჯგუფს შეუძლია თავიანთ მიზანთან ან კარგ საზოგადოებასთან მიღწევა. კარგი საზოგადოება თვითმოქმედია. მხოლოდ კომპრომისულ, თავისუფალ საზოგადოებაში შიდა ბრძოლების არსებობაა გარკვეული გარანტია იმისა, რომ საზოგადოებრივი სიკეთე არ დაგროვდება მცირეთა ხელში და ადამიანებს შეეძლებათ*

განვითარება და შვილების აღზრდა, ყოველგვარი დევნის შიშის გარეშე (გვ. 403).“

ესაა ,,პოლიტიკურ ადამიანში“ ნაგულისხმევი პოზიციების ლაკონური გადმოცემა, თუმცა არასწორია მას ,,წანამძღვარი" ვუწოდოთ. ამ ტერმინის გამოყენება ნეიტრალური ღირებულებების თეორიის გავლენაზე მიუთითებს, თუმცა კი მისი გამოყენება უადგილოა. უმჯობესი იქნება თუ ვიტყვით ,,შედეგს", რამდენადაც ღირებულებითი პოზიცია წიგნის ანალიზის ფარგლებს გარეთ მიედინება. მას შემდეგ, რაც ლიპსეტისეულ ანალიზს მივიღებთ კლასის ფუნდამენტურ როლზე პოლიტიკაში, როგორც მუდმივ მოქმედს, მაშინაც კი, როდესაც განხეთქილება აშკარაა და მისი ერთხმად გადალახვა შეუძლებელია, ჩვენ სხვა გზა აღარ გვრჩება, გარდა იმისა, რომ მივიღოთ დემოკრატია, როგორც ამას ლიპსეტი განსაზღვრავს - როგორც საზოგადოება, სადაც კაცობრიობის უმეტესობა იღვწიან, რომ თავად განკარგონ საკუთარი ბედი, ან მონაწილეობა მიიღონ მის განსაზღვრაში, ან მინიმუმ შეზღუდონ ისე, რომ ნაკლები უსამართლობა შეხვდეთ ან მათი ინტერესები ნაკლებად არაკეთილგანწყობილი იყოს სხვების მიმართ.

II.

მაგრამ ჩვენ ახლა გაცილებით უნდა დავშორდეთ იმ ნეგატიურ შედეგებზე საუბარს, რომლებიც ზემოთ აღინიშნა მარქსიზმის, კონსერვატიზმის, თუ რუსოს ზოგადი ნების წარმოჩენით. ჩვენ ვამბობთ, რომ ლიპსეტის თეორიის მნიშვნელოვანი განზომილებები, არა მხოლოდ უარყოფს სხვა ნორმატიული თეორიებისთვის მნიშვნელოვან საზღვრებს, არამედ მხარს უჭერს მათგან ისეთს, რომელიც თავად თეორიაშია ნაგულისხმევი. თუ ეს დასკვნა მართებულია, ის ნამდვილად ეწინააღმდეგება სამეცნიერო ფაქტის ნეიტრალურობის იდეას. მოდით, უფრო დეტალურად განვიხილოთ.

ზემოთ ვახსენეთ, რომ არჩევანი დგას, ერთი მხრივ, ძალადობისა და ჩახშობაზე მდგარ რეჟიმსა, რომელიც ნაკლებად ემსახურება თანხმობის მიღწევას და, მეორე მხრივ, მხოლოდ უმცირესობების ინტერესებზე მორგებულ რეჟიმებს შორის, რომლებიც მეტნაკლებად ითვალისწინებენ ინტერესებს. არჩევანი აშკარაა. თუ ეს უბრალოდ რიტორიკული შელამაზებაა მკითხველებს შორის ზოგადად მიღებულ ფასეულობებზე თამაშით? ან რამდენად მყარია ეს კავშირი?

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ,,უკეთესი“ და ,,უარესი“ ტერმინებით ვცდილობთ რეჟიმების განზომილებების ჩვენებას, რამდენად შეიძლება ეს იმის საფუძველი იყოს, რომ ზემოთ ნახსენები ერთადერთი შესაძლო განსჯა შეიცვალოს? შესაძლებელია თუ არა ვინმემ თქვას, რომ დიახ, უმცირესობების მმართველობაზე დაფუძნებული რეჟიმი, რომელიც ძალადობრივად ახშობს უმრავლესობას, სჯობს საერთო კონსესუსზე დამყარებულ რეჟიმს, სადაც ყველას აქვს საკუთარი ინტერესების გადახედვის შესაძლებლობა? რა თქმა უნდა, ეს არ არის იმთავითვე ლოგიკურად აბსურდული პოზიცია. თუ ვინმე მიიღებს ლიპსეტის სამუშაო ჩარჩოს დასკვნის გამოსატანად, ნამდვილად მოსალოდნელია, რომ მოულოდნელ დასკვნებამდე მივიდეს. შესაძლოა ისეთი განსჯაც მივიღოთ, რომელიც ამბობს, რომ მხოლოდ უმცირესობას შეუძლია იყოს შემოქმედებითი და, რომ ძალადობა აუცილებელია ადამიანების განვითარებისთვის ან რაიმე მსგავსი. ჩავთვალოთ, რომ მსგავსი განსჯა არ გამოტანილა და მან უბრალოდ თქვა, რომ ძალადობა უკეთესია, ვიდრე მისი ოპოზიცია, არა შემოქმედების სტიმულირების, არამედ მხოლოდ ძალადობის შესაძლებლობის გამო. ან რომ უმჯობესია მხოლოდ უმცირესობების ინტერესებს ემსახურებოდნენ, არა იმიტომ, რომ ისინი უფრო შემოქმედებითი იქნებოდნენ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი უმცირესობებს წარმოადგენენ. ამგვარი პოზიცია გაუგებარი იქნებოდა. შეიძლება გვესმოდეს, რომ ადამიანი თავს უძღვნის ამ-

გვარი საზოგადოების განვითარებას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სიტყვების ,,კარგი" ან ,,უკეთესი" გამოყენება უადგილო იქნებოდა, რადგან მათი გამოყენების ხილვადი საფუძველი არ იარსებებდა. ღიად დარჩება კითხვა, თუ რამდენად ესმოდა ადამიანს ეს ტერმინები, მაგალითად, რამდენად მოიაზრებდა ,,კარგში" მღელვარების მიღებას ან ესთეტიურ სიამოვნებას.

შეიძლება შემოგვედავონ, რომ ეს არ არის სამართლიანი მაგალითი. თუ ჩავთვლით, რომ ჩვენმა არაორთოდოქსმა მოაზროვნეებმა ძალადობისა და უმრავლესობის მმართველობის უპირატესობას სხვა საფუძვლები დაამატეს, რამდენად განსხვავებული იქნება ის? ან ასეთ შემთხვევაში, რამდენადაა შესაძლებელი ლიპსეტის სამუშაო ჩარჩოს მიღება? დავუშვათ ვიღაცას სჯერა (როგორც ჰეგელმა დააკავშირა ომთან), რომ ძალადობა დროდადრო საჭიროა სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის. ასეთ შემთხვევაში, შესაძლო რეჟიმების დიაპაზონი განსხვავდება იმისგან, რასაც ლიპსეტი გვთავაზობს. რადგან მშვიდობიანი დემოკრატიული რეჟიმებიც განიცდიან სტაგნაციის პროცესს, რაც მათ ნაკლებად სიცოცხლისუნარიანს ხდის. ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნებოდა რეჟიმის შენარჩუნება. ამგვარად, ასეთ შემთხვევაში რეჟიმების შესაძლო სპექტრი განსხვავდება იმისგან, რასაც ლიპსეტი წარმოგვიდგენს. ყველაზე სიცოცხლისუნარიანი ის რეჟიმი იქნებოდა, რომელიც შეძლებდა ძალადობის რაციონალიზებას და მის უწყვეტად შენარჩუნებას სტაგნაციისა თუ ნგრევის გარეშე.

თუმცა რა აუცილებელია, რომ ღირებულებით ამ ცვლილებას თან ამხსნელობითი ჩარჩოც მოყვებოდეს? როგორც ჩანს მიგვაჩნია, რომ შიდა სიმშვიდის სიავეებს ისეთი პოლიტიკური ეფექტი უნდა ჰქონდეთ, რომელიც ძირს გამოუთხრის პოლიტიკური საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობას. ვინც ამგვარ თეორიას წარმოადგენს, სავარაუდოა, რომ შინაგან ძალადობას დადებითად მიიჩნევს, რადგან ის ხელს შეუწყობს ადამიანთა დინამიურობას, შემოქმედებითო-

ბას, საზოგადოების განვითარებას ან რაიმე სხვას, რაც მშვიდობიან საზოგადოებას ნაკლებად სიცოცხლისუნარიანს გახდის. თუმცა, რამდენად ჩავთვლით, რომ მან ძალადობის სხვა ისეთი სარგებელიც აირჩია, რომელსაც არანაირი კავშირი ჰქონდა პოლიტიკური საზოგადოების გადარჩენასთან ან სიცოცხლისუნარიანობასთან? შეგვიძლია ვთქვათ, რომ მან ძალადობა დადებით მოვლენად მიიჩნია შემოქმედობისთვის, რადგან მხოლოდ შინაგანი ძალადობაა ის ხარჯი, რამაც საზოგადოებებს შეიძლება დიდი ლიტერატურა, მუსიკა ან მხატვრობა შეუქმნას? მაგალითად, როგორც ეს არის ნაჩვენები ჰარი ლაიმის ,,მესამე კაცში"?

ეს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. მოდით, უფრო დაწვრილებით განვიხილოთ იგი. ჩვენი წარმოსახვითი განხილვა მთლიანად დაშორდა პოლიტიკის საფუძვლებს და მისი განსჯა უცხო (აქ ესთეტიურ) ნიადაგზე დაიწყო. ამ საფუძვლების გათვალისწინებით, რთულია ნორმალური კატეგორიების უპირატესობაში დაეჭვება. ფაქტობრივად, ის გულისხმობს, რომ ესთეტიური პერსპექტივიდან საზოგადოება უმჯობესია მშვიდობიანი იყოს, მაინც უპირატესია ხელოვნებიდან გამომდინარე ინტერესები.

ეს განსხვავება მნიშვნელოვანია. შეფასებისთვის მნიშვნელოვანია განვასხვავოთ ორი სახის წინააღმდეგობა. შეიძლება შეფასება მივიღოთ, თუმცა ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მხედველობის მიღმა ტოვებდეს ჩვენს რეალურ არჩევანს. შეიძლება ვფიქრობდეთ, რომ სიტყვის თავისუფლება ყოველთვის კარგია, მიუხედავად იმისა, რომ საგანგებო მდგომარეობის დროს მისი შეზღუდვა არც ისე სახარბიელოა, იმ დიდი რისკის გამო, რაც შეიძლება ამ პროცესმა მოიტანოს. ამ შემთხვევაში მიზანმიმართულად ვზღუდავთ ,,კარგს". სხვა სახის წინააღმდეგობად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რაც ძირს უთხრის შეფასებას ან ცდილობს ჩამოართვას მას ,,პოტენციურად სიკეთის" სტატუსი. სწორედ ამას ცდილობს ლიპსეტი, როდესაც რუსოს სულიერი მიმდევრების მოხმობით აჩვენებს, რომ

მათი ჰარმონიულობა მხოლოდ უმცირესობის მმართველობის სიჩუმეში შეიძლება იქნას მიღწეული. ერთ შემთხვევაში ვაღიარებთ, რომ მოცემულ საგანს ნამდვილად აქვს ისეთი თვისებები, რასაც მისი მომხმრეები მიაწერენ (მაგ. სიტყვის თავისუფლება ხელს უწყობს სამართლიანობას, პროგრესს, ადამიანის განვითარებას ან სხვას), მაგრამ ვამატებთ, რომ მას ასევე გააჩნია თვისებები, რომლებიც გვაიძულებენ, რომ დროებით ან მუდმივად მის წინააღმდეგ ვიმოქმედოთ (მაგალითად, რაც მას პოტენციურად აბრკოლებს). სხვა შემთხვევაში, ჩვენ აღარ განვიხილავთ ისეთ პირობებს, რომლითაც მას ვაფასებთ, როგორც კარგს. (მაგალითად, რომ საზოგადოებრივი კანონმდებლობა დანაწევრების გარეშე იქმნება, ყველა მოქალაქის თავისუფალი შეგნების საფუძველზე). მოდით დავარქვათ ამ ორ წინააღმდეგობას საკმარისი და ძირგამომთხრელი.

რის დამტკიცებასაც ახლა ეცდებიან, ეს არის წინააღმდეგობის ჩარჩოს შეცვლა, რომელიც ძირს უთხრის ღირებულებებს და ასევე, გამომდინარეობს უკვე არსებული ჩარჩოდან, რომელიც არსებითადაა დაკავშირებული ღირებულებების ნაკრებთან. ხოლო თუ შეფასებას შევცვლით ჩარჩოს ცვლილების გარეშე, მაშინ საქმე აშკარად გადაფარვასთან გვაქვს.

დავუბრუნდეთ ზემოთ მოყვანილ მაგალითს. იმისთვის, რომ ძალადობის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი შევარყიოთ, უნდა ვაჩვენოთ წინააღმდეგობა მის თვისებას შორის. აშკარაა, რომ ძალადობას აქვს მკვლელობის ან დასახიჩრების თვისებაც, რაც გარკვეულწილად მას არასასურველი ელემენტების სიაში აქცევს. [...] მაგრამ აქ საქმე არ ეხება ძალადობის შესახებ განაჩენს, არამედ ალტერნატივას მშვიდობასა და ძალადობას შორის. განაჩენი კი ისეთ საფუძველს ემყარება, რომელშიც ძალადობას მშვიდობისგან განსხვავებული თვისებები გააჩნია. ან, რომ ძალადობაზე დაფუძნებული ნეგატიური შედეგები დაშორებულია მშვიდობას. თუმცა, თუ ვინმე გვაჩვენებს, რომ მშვიდობა შეიძლება იწვევდეს სტაგნაციას და ამ-

რიგად, სისტემის დაზიანებას (ქაოსს, ან ძალადობას), მაშინ სავარაუდოა, რომ იარსებებს აცდენა ორ ამგვარ შეზღუდვას შორის. საპირისპიროდ, მათ სხვა ალტერნატივაც აქვთ, ეს არის მეტნაკლებად კონტროლირებადი ან უკონტროლო/დესტრუქციული ძალადობა, რომელიც დაკავშირებულია შინაგან დარღვევასთან ან უცხო დამპყრობელთან. ალტერნატივის განადგურება, რომელსაც თავდაპირველი განაჩენი დაედო საფუძვლად, ძირგამომთხრელია და ამრიგად, მანამდე სასურველი ალტერნატივა შორდება მის ისეთ დიფერენცირებულ თვისებას, რომლის დახმარებითაც იგი ფასდებოდა. მაგრამ ნებისმიერი ასეთი ძირგამომთხრელი საქმიანობა შეცვლის იმ განმარტებით ჩარჩოს, რომლის არსებითი ნაწილიც თავდაპირველი ალტერნატივა იყო. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ მშვიდობიანი პოლიტიკის შენარჩუნებას, მაშინ მივიღებთ ძალიან განსხვავებულ შესაძლებლობათა სპექტრს. ლიპსეტი დამნაშავეა, რამდენადაც ის მთელ რიგ ფაქტორებს უგულებელყოფს სპექტრის დიაპაზონის სტაგნაციურობასთან მიმართებაში.

სხვა შემთხვევის საჩვენებლად, დავუშვათ შემთხვევა, სადაც ხელისუფლება იმართება უმცირესობის მხრიდან. ასეთ შემთხვევაში, ჩნდება აზრი, რომ მხოლოდ უმცირესობაა შემოქმედებითი და თუ მათ არ მიენიჭათ უპირატესობა ვერც შედეგს მივიღებთ ან კი ყველა დაიტანჯება. ამდენათ, უმცირესობის მმართველობასა და ყველას მმართველობას შორის შემოთავაზებული განსხვავება, რომ ჩვეულებრივი ადამიანები სწორედ მეორე ფორმიდან იღებენ რაიმეს, რასაც ისინი ვერ მიიღებდნენ პირველ შემთხვევაში, არ არის გათვალისწინებული. საქმე პირიქითაა. ღირებულება შელახულია. ასევე შეცვლილია პოლიტიკური ჩარჩოები, ამჯერად ჩვენ ელიტარულ თეზისთან ვართ ახლოს, რომელიც უმცირესობების მმართველობის მნიშვნელობაზე დგას. აქ კიდევ ერთი ცვლადი შემოდის მხედველობაში, რომელიც მანამდე არ იყო ნაჩვენები და რაც ერთგვარად ხელისშემშლელიცაა, რამდენადაც წინა ჩარჩოებში მხო-

ლოდ ყველასათვის კარგი და პროგრესული საზოგადოების შესაძ-ლებლობები იყო წარმოდგენილი.

გავითვალისწინოთ ისიც, რომ ძალადობა ან ელიტარული წე-სები შეიძლება კარგი იყოს ნახატის შექმნის დროს, რომელსაც მთლიანად ჩვენ ვმართავთ. ასევე შესაძლოა ძალადობის არ არსებო-ბა უფრო კარგი იყოს, როდესაც კეთილსინდისიერ შეთანხმებასთან გვაქვს საქმე. აფსუს!

ამრიგად, ჩარჩოში დამალულია გარკვეული ღირებულებითი პოზიცია, თუმცა მისი უკუგება შესაძლებელია. ზოგადად, ის შემ-დეგნაირად წარმოიშვება: მსგავსად ფენომენის გეოგრაფიული/სივ-რცული დიაპაზონისა, ჩარჩო გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ვა-რიაციები განსხვავდებოდეს და რა შეიძლება იყოს მისი ძირითადი საზომები. მაგრამ რადგან საქმე გვაქვს ისეთ საკითხებთან, სადაც ადამიანებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ, მოცემულ რუკას ირიბად საკუთარი ჩაშენებული ღირებულებები გააჩნია. ანუ, ვარიაციის მოცემული განზომილება, როგორც წესი განსაზღვრავს იმას, თუ როგორ უნდა ვიმსჯელოთ კარგისა და ცუდის შესახებ, რაც განსაზღვრავს მის დამოკიდებულებებს ადამიანების აშკარა სურვილებსა და საჭიროებებთან.

ახლა ეს შეიძლება განსაცვიფრებლად მოგვეჩვენოს, რამდე-ნადაც ცნობილია, რომ ადამიანთა საჭიროებები, სურვილები და მიზნები ფართოდ განსხვავდება ერთმანეთისგან. თუმცა ეს არ გუ-ლისხმობს, რომ არ არსებობს ცხოვრების ზოგად მოწყობაზე შეთან-ხმების ფართო არეალი. თუმცა ესეც კი ჩაშლადია, როდესაც ზემოთ ნახსენები სია ფართოვდება. ამრიგად, ადამიანის თვითგამოხატვის ან დამოუკიდებლად განვითარების საკითხებზე მსჯელობამ შეიძ-ლება დიდი უთანხმოება გამოიწვიოს, რასაც შესაძლოა მნიშვნელო-ვანი გავლენა ჰქონდეს პოლიტიკურ თეორიაში დებატებსა თუ კონ-ფლიქტებზე.

რამდენად ნიშნავს ეს წინა შედეგის უარყოფას და იმგვარი მდგომარეობის წარმოდგენას, სადაც რომელიმე თეორიის ამხსნელი ჩარჩოს მიღება შესაძლებელია, მაგრამ ადამიანთა საჭიროებების სხვადასხვაგვარი წარმოდგენა, მასში ფარულად ჩაშენებულ ღირებულებებზე უარს გვათქმევინებს? [2] ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ამხსნელ ჩარჩოსა და პოლიტიკური სიკეთის ცალკეულ წარმოდგენას შორის შუამავალია წინაპირობა, თუ როგორ ვხედავთ ჩვენ ადამიანთა საჭიროებებს?

პასუხია არა. რადგან, შემთხვევითი არ არის კავშირი ახსნის გარკვეულ ჩარჩოსა და ადამიანთა საჭიროებების, სურვილებისა და მიზნების განსაზღვრულ წარმოდგენებს შორის, რომელსაც შესაძლოა მედიაციური ფუნქცია ჰქონდეს ღირებულების თეორიასთან. თუკი ადამიანს განსხვავებული შეხედულება აქვს ადამიანთა საჭიროებების შესახებ, ვიდრე ახსნის გარკვეულ ჩარჩოს, მაშინ ეს აშკარად ჩარჩოს დარღვევას გამოიწვევს. გავაგრძელოთ ლიპსეტის შრომიდან კიდევ ერთი მაგალითის მოხმობა, სადაც სტაბილური დემოკრატიები უკეთესად მიიჩნევა, ვიდრე სტაბილური ოლიგარქიები, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ იქ არსებობს, სადაც უმრავლესობის დაბალი განათლების დონე ან შემზღუდველი/შემავიწროვებელი ტრადიციების არსებობა ხელს უშლის საკუთარი უფლებების მოთხოვნის სწავლებას. მაგრამ, რამდენად შეგვიძლია ჩვენ ამგვარი მსჯელობის შებრუნება თუ ვიტყვით, რომ განვითარების მიღმა ყოფნა შესაძლოა კარგი იყოს კაცობრიობისთვის, რადგან ასეთ შემთხვევაში ადამიანებს არ უწევთ საკუთარ თავზე ფიქრი, არც შეკითხვები უჩნდებათ იმ ნორმების მიმართ, რომლითაც ხემძღვანელობენ და ამგვარად, უფრო ბედნიერები იქნებიან? ასეთ შემთხვევაში ღირებულებითი მსჯელობა შექცევადი ხდება, მაგრამ შესაძლებელია ამან ჩარჩო შეცვალოს. აქ კი შემოვიტანოთ ანომიის ცნება. არასწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ასეთი ფაქტორების არსებობას რაიმე ტიპის მნიშვნელოვანი გავლენა არ გააჩნია პოლიტიკური სა-

ზოგადოების მუშაობაზე. თუ ანომია ფუძნდება განათლების განვითარებისა და ტრადიციების რღვევის შედეგად, ის გავლენას ახდენს საზოგადოების სტაბილურობაზე, რომელიც ამ ტიპის განვითარებას უწყობს ხელს. ისინი მუდმივად საფრთხის ქვეშ იქნებიან, რადგან მოქალაქეები, რომლებიც მიდრეკილნი არიან ანომიისკენ, ეძებენ გარანტირებულ თავშესაფარს. თუკი ადამიანი უკმაყოფილოა დემოკრატიით, მაშინ იგი უდაოდ არ არის ისეთი კარგი ან სიცოცხლისუნარიანი, როგორც ამის მისი ქომაგები წარმოადგენენ.

ამრიგად, ვერ შენარჩუნდება მოსაზრება, რომ შესაძლოა მივიღოთ ამხსნელი ჩარჩო და უარვყოთ ღირებულებები, რომლებიც საჭიროებათა განსხვავებულ ხედვებს ეფუძნება. ნებისმიერი სამუშაო ჩარჩო დაკავშირებულია ადამიანთა საჭიროებების, სურვილებისა და მიზნების გარკვეულ ნაკრებთან. და თუ საქმე გვაქვს ამ საჭიროებების განსხვავებულ აღქმასთან, ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება იმავე ჩარჩოს გამოყენება. ის, რომ ადამიანების საჭიროებები, სურვილები და მიზნები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ადამიანის ქმედებებზე, საკმარისად მკაფიო მიზეზია იმისთვის, რომ ამგვარ ნაკრებზე წარმოდგენა გვქონდეს. ეს კი არც ისე არაზუსტია, მაშინაც კი როდესაც ვინმე განიზრახავს მეცნიერების ნებისმიერი მიმართულებით ადამიანთა ქცევის შესახებ სამუშაო ჩარჩოს შექმნას, რომელშიც არც პოლიტიკური ქცევა გამოირიცხება. ამრიგად, პოლიტიკური თეორია შეიცავს ადამიანთა მოთხოვნილებების აღქმასაც და ეს არ შეიძლება განვიხილოთ დანამატად, რომელსაც მოგვიანებით გავითვალისწინებთ ჩვენს სამუშაო ჩარჩოში, რათა ღირებულებათა მთელ ნაკრებს მოვარგოთ.

თუმცა, ეს იმასაც არ გულისხმობს, რომ შესაძლებელია არსებობდეს განსხვავებული საჭიროებები ან მიზნები, რომლებიც ვერ დაემატება რაიმე არსებულ ჩარჩოს. ასევე, არც იმას, რომ ამგვარი დამატება ვერ შეცვლის არსებულ ჩარჩოს, რამდენადაც მათი გავლენა შესაძლოა კრიტიკულად აისახოს პოლიტიკურ მოვლენებზე. მაგ-

რამ მაქსიმუმ ეს მოგვცემდა მისი გადაძლევის შესაძლებლობას და არა მის სრულ გადაგვარებას. შეფასების შესარყევად, უნდა ვაჩვენოთ, რომ მასში ნავარაუდევი საჭიროება არ ასახულა, ან როგორიც უნდა ყოფილიყო მოთხოვნილება, სურვილი თუ მიზანი, მისგან საწინააღმდეგოდ შესრულდა. თუმცა, გადაძლევის შემთხვევაში შესაძლებელია ჩარჩოს განადგურება, თუკი ახალი მოთხოვნილება საკმარისად მნიშვნელოვანი იქნება განსხვავებული ქცევის წარმოსადგენად. მაგრამ, რასაკვირველია, ამის განხორციელება ისეთ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც საჭიროებათა ნაკრები არასწორადაა განსაზღვრული.

III.

ზემოხსენებული მაგალითიდან ჩანს, რომ ამხსნელი ჩარჩოს მიღებას თან ახლავს მასში ნაგულისხმევი ,,ღირებულების დახრილობა", თუმცა შეფასებები შეიძლება შეიცვალოს ექსტრა-პოლიტიკური მოსაზრებებით. ამავე დროს, შეიძლება ვინმემ უარყოს ეს იდეა, რომ ერთი მაგალითის შესწავლა საკმარის საფუძველს არ ქმნის დასკვნის განზოგადებისთვის, ან შეიძლება ეს მაგალითი თავისებურად უადგილოდაც კი მიიჩნიოს, თუნდაც იმიტომ, რომ ლიპსეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო პოლიტიკური ფილოსოფიის ტრადიციას და განსაკუთრებით, არისტოტელეს მიმართ.

თუკი გავაფართოვებთ მაგალითების სპექტრს, მაშინვე მივხვდებით, რომ ლიპსეტის თეორია არ არის განსაკუთრებული. არსებობს, მაგალითად, თეორიების მთელი სპექტრი, სადაც კავშირი ფაქტობრივ ბაზასა და მასში ჩაშენებულ შეფასებას შორის ინტეგრირებულია კონცეპტუალურ სტრუქტურასთან. ასეთია მრავალი თეორია, რომლებიც იყენებენ ფუნქციის ცნებას. ფუნქციის შესრულება გულისხმობს გარკვეული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და როდესაც მას სოციალურ თეორიაში იყენებენ, ის გამოწვეულია ადამიანის საჭიროებებით, სურვილებითა და მიზნებით. შესაბამისი

მოთხოვნა ან მიზანი შეიძლება იყოს პოლიტიკური სისტემის შენარჩუნება, რომელსაც ადამიანისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, ან ასევე, ზოგიერთი სარგებლის უზრუნველყოფა, რისი შენარჩუნებაც პოლიტიკურ სისტემას შეუძლია კაცობრიობისთვის, ესენია: სტაბილურობა, უსაფრთხოება, მშვიდობა, სხვადასხვა სურვილის შესრულება და სხვ. ვინაიდან პოლიტიკა უმეტესწილად შედგება ადამიანის მიზანმიმართული საქმიანობისგან, პოლიტიკური საზოგადოებების დახასიათება ფუნქციური პერსპექტივიდან რთულდება. რამდენადაც საზოგადოებებს ვახასიათებთ მათ მიერ დასახული სხვადასხვა გზებით ან თუნდაც ერთი და იგივე ფუნქციების შესრულების სხვადასხვა ხარისხით, ან სადაც ვარიაციის კრიტიკული განზომილებები ნორმატიულად მნიშვნელოვანია. საზოგადოებები, რომლებიც უფრო სრულყოფილად ასრულებენ ფუნქციებს, რაღაც დოზით უკეთესები არიან.

მაგალითისთვის შეგვიძლია ავიღოთ გაბრიელ ალმონდის ,,სტრუქტურულ-ფუნქციონალური" თეორია, როგორადაც ის ჩამოყალიბებული აქვს ნაშრომში ,,განვითარებადი ტერიტორიების პოლიტიკა" (Princeton: Princeton University Press, 1963). ფუნქციებთან მიმართებაში, ალმონდი აღნიშნავს, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს მიზანი ,,ინტერესთა გამოხატვისთვის" პირობების შექმნაა, რაც პროცესის აუცილებელი ნაწილია და რომლის დროსაც საზოგადოების წევრების მოთხოვნებმა, ინტერესებმა თუ პრეტენზიებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მთავრობაზე ან გარკვეული შედეგის მიღებაზე. ალმონდი ხედავს სტრუქტურათა ოთხ ძირითად ტიპს, რომლებიც მონაწილეობენ ინტერესთა გამოხატვაში.[3] ინტერესთა არტიკულირებისთვის სამი სტრუქტურის (ინსტიტუციური, არაასოციაციური და ანომიური ინტერესის მქონე ჯგუფები), მნიშვნელოვანი როლი, ალმონდის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ მათ შეუძლიათ საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ,,საზღვრების შენარჩუნების“ სუსტად მითითება. მხოლოდ მეოთხე ჯგუფს (ასოცი-

აციურ ინტერეს ჯგუფებს) შეუძლიათ მთავარი ტვირთის აღება და სისტემის ეფექტურად შენარჩუნება: ,,მათი მარეგულირებელი როლის შესაბამისად, ასოციაციური ინტერესთა ჯგუფები ჩართულები არიან დაუმუშავებელი მოთხოვნილებების ან ინტერესთა ნებისმიერი ფორმით გამოხატვის დამუშავებაში, იქნება ეს საზოგადოებაში, თუ პოლიტიკური სისტემაში. მათი წარმართვა კი ხდება აგრეგირებული ფორმით - პარტიული სისტემის, საკანონმდებლო ორგანოს თუ ბიუროკრატიის მეშვეობით".[(4)] ასეთი ხედვა ეხება დაუმუშავებელი მოთხოვნილებების ნაკადსაც, რომელიც სწორედ სისტემის მიერ უნდა დამუშავდეს. არაეფექტური დამუშავება ნაკლებ კმაყოფილებას გამოიწვევს, გაზრდის სისტემის მიმართ იმედგაცრუებას, გაურკვევლობას და ხშირად შეიძლება არასტაბილურობის საფუძველიც გახდეს. ამ კონტექსტში საზოგადოებას და პოლიტიკას შორის საზღვრების შენარჩუნება მნიშვნელოვანია სიცხადისთვის და ეფექტურობისთვის. ერთობლივად გამოხატვისა და აგრეგირების ფუნქციებზე, ალმონდი ამბობს:

> *,,ამრიგად, საზოგადოების მხრიდან დაუმუშავებული მოთხოვნების მაქსიმალურად მისაღწევად, საჭიროა მოთხოვნების საერთო ენაზე უმნიშვნელოდ დამუშავება, რაც ასოციაციურმა ინტერესთა ჯგუფებმა უნდა განახორციელონ. სახელმწიფოს თუ ადამიანების ალტერნატივების შედარებით მცირე რაოდენობებად ათვისებისა და გარდაქმნისთვის, აუცილებელია შუა დიაპაზონის გათვალისწინება. თუ, ავტორიტეტული სამთავრობო სტრუქტურების ჩამოყალიბებამდე, ორივე ეს ფუნქცია კრიტიკულ დონეს მიაღწევს შესრულების თვალსაზრისით, შედეგად გამარტივდება წესების შემუშავებისა და მისი გამოყენების გამომავალი ფუნქციები, ასევე, პოლიტიკური თუ სამთავრობო პროცესები უფრო მეტად პროგნოზირებადი და პასუხისმგებლიანი გახდება. შედეგები შეიძლება დაკავშირებული და კონტროლი-*

რეგადი გახდეს მასში ,,შენატანების“ (input) საშუალებით, და ამრიგად, თავისუფალი საზღვრების შენარჩუნებით, თუ შრომის განაწილების შედეგად. “[5]

ამგვარად, ალმონდი სხვადასხვა ინსტიტუტების დახასიათების გზით ახდენს მათი ინტერესთა გამოხატვის ან საერთო ინტერესების შეფასებას. ცხადია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლების მქონე საზოგადოება უფრო მეტად სასურველია, ვიდრე ისეთი, რომელსაც აღნიშნული მახასიათებლები არ გააჩნია ან სადაც ნაკლებია თავისუფალი მიმოქცევა და სადაც სისტემის ,,შედეგები" ნაკლებად უკავშირდება მასში ,,შენატანებს" (იმას, რაც ხალხს სურს, გამოხატავს ან ითხოვს). ასევე, სადაც მთავრობა ნაკლებ პასუხისმგებლიანია და ა.შ. სისტემის დახასიათება ფუნქციური ახსნის ცნებებით, მოიცავს, როგორც მათ ზოგჯერ მოიხსენებიენ, ,,ფუნქციის" და ,,დისფუნქციის" კრიტერიუმებს. ვარიაციის განზომილება ცალსახად პასუხობს შეკითხვას, თუ რომელია უკეთესი. იმის გამო, რომ მკაფიო წარმოდგენა აქვს ადამიანთა სურვილებსა და საჭიროებებზე.

ამ ტიპის თეორიებში მხოლოდ ის არ მოიაზრება, ვინც აშკარად იყენებს ,,ფუნქციის“ ცნებას, არამედ ისეთი თეორიებიც და ჩარჩოებიც, რომლებიც ორგანიზმთან ანალოგიას ემყარებიან. შესაძლებელია ამგვარ თეორეტიკოსებში დევიდ ისტონიც მოვიხსენიოთ (შედარებისთვის იხილეთ, A Framework for Political Analysis, Englewood Cliffs, N.J.: Prentice-Hall, 1965, and A Systems Analysis of Political Life, New York: Wiley, 1965) ან კარლ დოიჩი (The Nerves of Government, Glencoe, Ill: The Free Press, 1963). მოთხოვნები, რომლითაც ვიმსჯელეთ სხვადასხვა პოლიტიკური სისტემის მუშაობაზე, ნათლად არის წარმოჩენილი თეორიებში.

მაგრამ რა უნდა ვთქვათ ისეთ თეორიებზე, რომლებშიც ,,სახელმწიფო პირობების" ,,რაიმე ფორმით" გამართლებისთვის აშკარად მოიაზრება ფაქტის გამოცალკევება შეფასებისგან? რას ვიტ-

ყვით ,,ქცევითი" ტიპის თეორიებზე, მაგალითად ჰაროლდ ლასველის შესახებ?

IV.

ჰაროლდ ლასველს აშკარად სწამდა მეცნიერული დასკვნების ნეიტრალურობის. ლასველი ღიად ემსახურებოდა გარკვეულ ფასეულობებს, განსაკუთრებით კი დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებებს, რაშიც გულისხმობდა საზოგადოებას, ,,სადაც ადამიანის ღირსება რეალიზდება, როგორც თეორიულად, ასევე, ფაქტობრივადაც". [6] ლასველი მიიჩნევდა, რომ სამეცნიერო დასკვნების მიღწევა ასეთი მიზნების რეალიზების გზით იყო შესაძლებელი და სწორედ ასე ხედავდა პოლიტიკის მეცნიერების ფუნქციასაც. თუმცა კი ეს დასკვნების ნეიტრალურობაზე გავლენას არ ახდენს: პოლიტიკის მეცნიერება უბრალოდ განსაზღვრავს გარკვეული ინფორმაციის დაჯგუფებას და იმ მიგნებების შერჩევას, რომელიც გვეხმარება დასახული მიზნის განხორციელებაში. აქედან გამომდინარეობს, რომ თუ არსებობს დემოკრატიის პოლიტიკური მეცნიერება, ,,ასევე შეიძლება არსებობდეს ტირანიის პოლიტიკური მეცნიერებაც" [7].

ლასველის ,,კონფიგურაციულ ანალიზში" ფაქტიც და შეფასებაც მოგვიანებით შემოდის. თუმცა ისინი მთლიანად გამოცალკევებულია ერთმანეთისგან. წიგნიდან ,,ძალაუფლება და საზოგადოება" შესავალი ნაწილი ცალსახად ამ საკითხის ანარეკლია:

> *,,წინამდებარე კონცეფცია შეესაბამება ... ფილოსოფიურ ტრადიციას, რომელშიც პოლიტიკა და ეთიკა ყოველთვის მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. მაგრამ ეს გამიჯნულია იმ ტრადიციისგან, როდესაც პოლიტიკურ თეორიაში ორი განსხვავებული კომპონენტის - პოლიტიკური დოქტრინის ემპირიული წინადადებებისა და ღირებულებითი შეფასებების - არსებობას სრულად აღიარებს. წინამდებარე*

ნაშრომში მხოლოდ პირველი სახის განცხადებებია ფორმულირებული." (გვ xiii)

თუმცა ფაქტების ანალიზსა და შეფასებას შორის ნაგულისხმევი გამიჯვნა უარყოფს თავად ტექსტს. სექციებში, რომლებიც ეხება სხვადასხვა ტიპის პოლიტიკას [8], ავტორები წარმოადგენენ პოლიტიკური საზოგადოების მრავალფეროვნებას. პოლიტიკა განსხვავდება (1) ძალაუფლების განაწილების მიხედვით (ავტოკრატია, ოლიგარქია ან რესპუბლიკა); (2) ძალაუფლების სფეროების მიხედვით (საზოგადოება განიცდის უფრო მეტ მისწრაფებას ან შემცირებას რეჟიმისკენ); (3) ძალის კონცენტრირების ან განაწილების მიხედვით (ხელისუფლების დანაწილების ან ფედერალიზმის საკითხების გათვალისწინება); (4) ხელისუფლების მართვის თანასწორობის ხარისხის მიხედვით (თანასწორობის ხარისხი ძალაუფლების პოტენციალის მიხედვით); (5) ლიბერტარიანული თუ ავტორიტარული ხასიათით; (6) მიუკერძოებლობის ხარისხით; (7) სამართლებრივი თუ ტირანული ხარისხის მიხედვითაც. დემოკრატია განისაზღვრება როგორც თავისუფლების, კანონის უზენაესობისა და მიუკერძოებლობის მიღწევის წესი.

გასაკვირი არც არის დემოკრატიის მიმართ სიმპათიების ზრდა, როდესაც განმარტებების ამგვარ ჩამონათვალს შევხედავთ, რაც მცირე არჩევანს გვიტოვებს. მეხუთე განზომილება ნათლად განსაზღვრავს ჩვენს წარმოდგენას. თავისუფლება განისაზღვრება არა მხოლოდ იძულების არარსებობის, არამედ საკუთარი თავი წინაშე ჭეშმარიტი პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. ,,მართვა მაშინ არის თავისუფალი, როდესაც ფართოდ არის გავრცელებული ინიციატივა, ინდივიდუალურობა და არჩევანი. ავტორიტარულია თუკი დამახასიათებელია მორჩილება, იძულება და კონფორმულობა. [9] სპინოზას ციტირებას რომ დავეთანხმოთ, ლასველი და კაპლანი მხარს უჭერენ თავისუფლების ცნებას, როგორც შესაძლელობას ,,იცხოვრონ ... თავისუფლების მიზეზით". ,,ამ კონცეფციის მიხედ-

ვით, თავისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, სადაც თითოეულ ადამიანს აქვს საკუთარი თავისადმი პატივისცემა, სხვების პატივისცემისთვის". [10]

ამრიგად, ცხადია, რომ თავისუფლება მის ოპოზიციაზე უპირატესია. ორთოდოქსული სკოლის მრავალი მოაზროვნე, მიუხედავად იმისა, რომ ეთანხმებიან ამგვარ განაჩენს, მას მაინც მიაწერონ ავტორის მხრიდან უყურადღებო ფორმულირებას ან მუდმივი სიფხიზლიდან დროებით მოდუნებას, რომელიც ნარჩუნდება ღირებულებების ტენდენციურობის საწინააღმდეგოდ. ამიტომ მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ აქ ღირებულების ძალა უფრო დიდია, ვიდრე მისი ფორმულირება. ეს მდგომარეობს ალტერნატივაში, რომელიც შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: ერთი მხრივ, ადამიანზე შეიძლება სხვები მანიპულირებდნენ, რითაც ის ემორჩილება ისეთ დადგენილ კანონს ან სტანდარტს, რომლის შეფასებასაც ვერ ახერხებს. მეორე მხრივ, ის იმგვარადაა განვითარებული, რომ მას შეუძლია თავად განსაჯოს, დაამუშავოს მიზეზები და გამოიყენოს საკუთარი სტანდარტები, რითაც პატივს სცემს საკუთარ თავს და სხვებსაც. თუ მართლაც ასეთი ალტერნატივაა ჩვენს წინაშე, როგორ არ შეგვიძლია უკეთესად განვსაჯოთ თავისუფლება? (შეგვიძლია თუ არა იმის დაჯერება, რომ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მოსაზრებებია?)

განზომილება (6) ასევე განსაზღვრავს ჩვენს არჩევანს. ნათქვამია, რომ ,,მიუკერძოებლობა" გარკვეულწილად შეესაბამება ,,სამართლიანობის" ცნების კლასიკურ გაგებებს[11], და მას უწოდებენ ,,საერთო კეთილდღეობას", რადგან მიუკერძოებლად ხდება ,,საზოგადოების ყველა წევრის და არა მისი მხოლოდ ზოგიერთი კლასის“ ღირებულებების გაუმჯობესება.[12] თუ ახლა არჩევანი უბრალო რეჟიმებს შორის უნდა გაკეთდეს, ერთი მხრივ, საერთო სარგებლის მომტან რეჟიმსა და, მეორე მხრივ, ზოგიერთი მცირე ჯგუფის საკეთილდღეოდ მოღვაწე რეჟიმს შორის, რაიმე სხვა უფრო დამაჯერე-

ბელი მოსაზრებების არარსებობის შემთხვევაში, ეჭვგარეშეა, თუ რომელია უკეთესი.

ანალოგიურია მეშვიდე განზომილებაც. ,,სამართლებრივის" საპირისპიროა ,,ტირანული", რომელიც განისაზღვრება, როგორც ვითარება, სადაც ,,გადაწყვეტილებები მიიღება დადგენილი წესების შესაბამისად ... ვიდრე თვითნებურად (ტირანულად)". [13] ან სადაც ,,გადაწყვეტილებების მიღებისას იმ პირობების შეფასება ხდება, რომლებსაც, როგორც მმართველები, ასევე, მართულებიც უნდა აკმაყოფილებდნენ", რამდენადაც წარმოდგენილი ალტერნატივა თვითნებურად მიღებული გადაწყვეტილებაა, რომლის შემოწმებაც შეუძლებელია, რადგან შეკითხვა არ დაესმის რომელიმეს სასურველობას. ხოლო, თუკი ჩვენი სურვილი იყო კანონის გარეშე მოგვეხდინა წესის დამტკიცება (როგორც ამას პლატონი აკეთებდა), ვერასდროს მივიღებდით ისეთ ზედსართავ სახელს, როგორიცაა ,,თვითნებური", როგორც ,,სამართლებრივის" ალტერნატივა.

რაც შეეხება სხვა საზომებს, ავტორები მათ სამ ისეთ მნიშვნელოვან მახასიათებელთან აკავშირებენ, რომ შეუძლებელი ხდება მათი ნეიტრალურად წარმოდგენა, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელობები აქაც ნაწარმოებია. ამრიგად, ნებაყოფლობითობა უმჯობესია თავისუფლებისთვის, ვიდრე მისი რეჟიმიზაცია. ძალაუფლების განაწილება კი სამართლიანობისთვის ხელშემწყობ მექანიზმად შეიძლება შეფასდეს. მოკლედ, ჩვენ უნდა გამოვიდეთ დემოკრატიის სრულფასოვანი გამართლებისგან და ეს ისეთი შრომაა, რომელიც მოითხოვს ნეიტრალურობას. ნაშრომი, როგორც შესავალში ვახსენეთ, ,,არ შეიცავს პოლიტიკური დოქტორინის შემუშავებას იმის შესახებ, თუ რა უნდა იყოს სახელმწიფო და საზოგადოება". [14] დემოკრატიის აღწერის დროსაც კი შესაძლებელია რიტუალურად წანამძღვრების გაკეთება: მაგალითად, როდესაც მოხსენიებულია ტერმინი ,,სამართლიანობა", წინადადება ჩასმულია ფრჩხილებში: ,,აღნიშნული ტერმინი უნდა გავიგოთ დესკრიპციულად და არა - ნორმა-

ტიული ცნობიერებით". [15] თავის ბოლოს კი მითითებულია: ,,ფორმულირებები მოცემულია აღწერის სახით (დესკრიპციულად) და არა ნორმატიულად“. [16]

მაგრამ, როგორც უკვე ზემოთ ვნახეთ, ეს არ არის ნეიტრალური: ჩვენ ვერ დავეთანხმებით აღწერილობებს, რომ დემოკრატია მმართველობის უკეთესი ფორმაა, ვიდრე მისი საწინააღმდეგო (,,ტირანული" ,,ექსპლუატაციური" თუ ,,ავტორიტარული" არჩევანის წესი). ავტორების ასეთ სიმართლეში მხოლოდ ნეიტრალურობის დაცვის მითი იმალება.

რა თქმა უნდა, ეს სეგმენტები ადეკვატურად არ ასახავენ ლასველის მთელ შრომას. მართლაც, ლასველის განხილვის ერთ-ერთი პრობლემა ისიცაა, რომ მან მხარი დაუჭირა ახსნის საკმაოდ დამაბნეველ კონცეპტუალურ ჩარჩოებს. მხოლოდ ,,ძალაუფლება და საზოგადოება" ნაშრომიც კი საკმარისია ამის საჩვენებლად, მისი სხვა უამრავი ნაშრომის გარდა. ასევე, შესაძლებელია ამ ყველაფრის ერთიან სისტემაში გაერთიანება, ცალკეული შემთხვევების ანალიზისას კი ეს უფრო გვაშორებს რეალობას. მიუხედავად ამისა, კავშირი ფაქტის ანალიზსა და შეფასებას შორის კვლავ ჩანს თითოეულ განსხვავებულ მიდგომაში. თუმცა რთულია ყველა მათგანის დაფარვა, ამიტომ კიდევ ერთი მაგალითი უფრო მეტ მკაფიოობას შემოიტანს.

უფრო გვიანდელ ფსიქიატრიული შინაარსის შრომებში, როგორიცაა ,,ძალაუფლება და პიროვნება", ან ,,დემოკრატიის მახასიათებელი" [17], პოლიტიკის მეცნიერებისათვის მკაფიოდ დასახული მიზანია დემოკრატია. მაგრამ ბუნდოვანია მსჯელობა, რომ ეს მიზანი ალტერნატივებს შორის ჭეშმარიტების საფუძველზე შეირჩა. საზოგადოების ალტერნატივებში, სადაც ხალხს აქვს დემოკრატიული ხასიათის ,,თვითმართვის სისტემა", გვხვდება პათოლოგიები, რომლებიც ხშირად სახიფათოა. სხვა საკითხებთან ერთად, დემოკრატიის პრობლემა ისეთი თვითსისტემის შექმნაა, რომელიც ,,მრავალმხრივია, ვიდრე ერთფეროვანი, და ... განწყობილია გაზიარებისკენ,

ვიდრე მონოპოლიზებისკენ". [18] შეიძლება ვიღაცა შემოგვედავოს ამაზე, რადგან თვლიდეს, რომ მიზან-მიმართული ხალხი საზოგადოების საკუთრებაა. მაგრამ მას შემდეგ, რაც დემოკრატიის მრავალი ალტერნატივა ვიხილეთ, როგორც ეს წარმოდგენილია ნაშრომში ,,დემოკრატიული ხასიათი" [19], შესაძლებელი ხდება ლასველის მოსაზრების გაგება. ლასველი გვიჩვენებს რიგს, რასაც იგი ერთ მომენტში გულწრფელად აღწერს, როგორც ,,მახასიათებლის დეფორმაციას". [20]. სადაც საუბრობს homo politicus-ზე, რომელიც მიდრეკილია ძალაუფლების სწრაფვისკენ და აღიშნავს: ,,პოლიტიკურ ასპარეზზე ძალაუფლების მგზნებარე მაძიებელთა შესწავლისას, ფსიქიატრი თავს გრძნობს სახლში, რადგან ის აცნობიერებს უკიდურეს ეგოცენტრულობას და ზოგიერთი პარანოიდული პაციენტის ეშმაკურ დაუნდობლობას, რომელთანაც მან შეძლო დაკავშირება" (გვ. 498).

აქ საქმე იმაში არ არის, რომ ლასველს შეფასებებისას არალეგიტიმურად შემოაქვს ფაქიზად დატვირთული ენა, ან იყენებს ზედმეტად დამამცირებელ ტერმინებს. შესაძლოა, პოლიტიკოსები მართლაც მიდრეკილები იყვნენ, რომ მიუახლოვდნენ დაუბალანსებელ მახასიათებლებს, რომლითაც ნებისმიერი დანაკლისის შევსებას შეეცდებიან. საქმე იმაშია, რომ თუ ეს სიმართლეა, მაშინ რამდენიმე მნიშვნელოვან განსჯას საჭიროებს პოლიტიკური ფსიქიატრია. თუმცა, ეს არ არის რაიმე დამოუკიდებელი მნიშვნელობის განსჯის საფუძველი, რამდენადაც ის თავად ფაქტიდან გამომდინარეობს. შეიძლება არსებობდეს ტირანიის პოლიტიკის მეცნიერება, მაგრამ შეიძლება ამის თანმიმდევრულად არსებობდეს სამედიცინო მეცნიერებაც, რომელიც მიზნად ისახავს დაავადების წარმოებას (მაგალითად, როდესაც ერები იკვლევენ ბაქტერიოლოგიურ ომს). მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მეორე უფრო ღირებული საქმიანობაა, ვიდრე პირველი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ძალზე მნიშვნელოვან მიზეზებს წარმოვაჩენდით (რასაც ბაქტერიოლოგიური ომის მომ-

ხრეები ცდილობენ, თუმცა წარუმატებლად). ჯანდაცვის მეცნიერება ამგვარ განსაკუთრებულ გამართლებას არ საჭიროებს.

3.

თეზისი, რომელსაც ვიცავდით, შესაძლებელია განვიხილოთ პოლიტიკის მეცნიერების სხვადასხვა თეორიის კონტექსტში, თუმცა დღეს ის მიუღებელია ფილოსოფიის მნიშვნელოვანი სკოლისთვის. ზემოხსენებულ ანალიზში ფილოსოფოსები მშვიდად მოგვყვებიან. ამ დასკვნას კი შეეწინააღმდეგება კარგად დამკვიდრებული დოქტორინა, რომლის თანახმადაც ღირებულებითი საკითხები ფაქტობრივი საკითხებისგან დამოუკიდებლად თანაარსებობენ. კერძოდ, მოსაზრება, რომ ფაქტების ერთობლიობამდე თავისუფლადაა შესაძლებელი განუსაზღვრელი რაოდენობის ღირებულებითი პოზიციების მიღება. მეორე მხრივ, აქ არგუმენტირებული მოსაზრების თანახმად, პოლიტიკურ მეცნიერებაში მოცემული ამხსნელი ჩარჩო მხარს უჭერს თანმხლებ ღირებულებით პოზიციებს და აბუნდოვანებს პოლიტიკისა და პოლიტიკების შეფასებით ჩარჩოებს.

რა თქმა უნდა, ეს ფილოსოფიური რწმენაა, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ზოგადად მეცნიერებსა და პოლიტიკის მეცნიერებს შორის, ხელი შეუწყო ნეიტრალურობის კულტს დისციპლინაში და რწმენას, რომ ჭეშმარიტი მეცნიერება ვერ მოგვცემს მითითებებს, თუ რა არის სწორი ან არასწორი. დროა, შევეგუოთ ამგვარ ფილოსოფიურ შეხედულებას.

არანატურალისტების მხრიდან შეუმჩნეველი ან უარყოფილია ,,კარგის" ან ,,სწორის" გამოყენების დროს ორი საკითხი: (1) როდესაც ვიყენებთ ტერმინს ,,კარგს", ყოველთვის უნდა არსებობდეს მიზეზები (წინაპირობები), რომლებიც მას მიემართებიან და (2) როდესაც ვიყენებთ ,,კარგს“, იმ მოტივით, რომ რაღაცას შეუძლია ადამიანის საჭიროებები, სურვილები და მიზნები დააკმაყოფილოს, ყო-

ველთვის წარმოადგენს საწინააღმდეგოს სასარგებლოდ მტკიცებულებების არ არსებობის შედეგს.

არანატურალისტური შეხედულება, ჰარ სტივენსონის აზრით, უარყოფს ორივე ზემოხსენებულ აზრს. მისი ამოსავალი წერტილი ზნეობრივი არგუმენტის დედუქციური ფორმით ჩანაცვლებაა - ყველა არგუმენტი, რომელიც წინააღმდეგ მოდის იმასთან, რასაც ,,ნატურალურიზმის შეცდომას“ ვუწოდებთ, დედუქციური დასკვნის ნამდვილობად იქცევა. ჩვეულებრივ ადამიანს შეიძლება ეგონოს, რომ ის რაიმე ტიპის ფაქტობრივი განხილვიდან გადადის ისეთ განხილვაზე, რომელიც განარჩევს ,,ცუდს" ან ,,კარგს" ერთმანეთისგან. მაგრამ სინამდვილეში შეუძლებელია რაიმე ფაქტის ცუდ ან კარგ მხარეზე ვიმსჯელოთ, მხოლოდ იმ ნაწილობრივი დაშვებებიდან, რომლებსაც მის ზოგიერთ თვისებას მიეწერება. ამრიგად, ჩვეულებრივი ადამიანის არგუმენტი მართლაც ენთიმემაა: ის მხოლოდ ზოგიერთ წინაპირობას ეფუძნება. მაგალითად, როდესაც ვამბობთ, რომ ,,X ადამიანებს გააბედნიერებს" ან ,,X არის კარგი", ვმოქმედებთ წინასწარგანსაზღვრული იდეით, რომ ,,რაც კაცობრიობას აბედნიერებს, ის აუცილებლად კარგია". ამდენად, მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი სანდო დასკვნის გამოტანა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ: ჩვეულებრივი ადამიანი მოსაზრებას, რომ ,,X აბედნიერებს ადამიანს" იყენებს მისთვის სასურველი განსჯის მისაღებად. არანატურალისტების აზრით, სწორედ წინასწარგანსაზღვრული (დათრგუნული) წინაპირობა განაპირობებს ასეთ შედეგს. ლოგიკურად შესაძლებელია, რომ უარვყოთ ეს წინაპირობა და არც დასკვნა მოვაყოლოთ. აქედან გამომდინარე, თუ X-ის ,,კარგად" განსჯას რაიმე საფუძველი გააჩნია, ეს უკავშირდება სწორედ იმას, თუ რა ღირებულებებს ანიჭებს მას ადამიანი, რომელიც მასზე საუბრობს. ეს არის ფაქტი, როდესაც ჩვენ გამოგაქვს რაიმე თვისების აშკარა (ძირითადი) წინაპირობა, მისი ყველაზე ნიშანდობლივი მახასიათებლით, რაც საშულებას გვაძლევს ჩვენივე დას-

კვნის სისწორე დავასაბუთოთ. საბოლოო ჯამში, ნებისმიერი შეფასების დროს, მისი ყველანაირი წინაპირობის მიღმა, უნდა განვსაზღვროთ ჩვენი ღირებულებებიც. თითოეულ შემთხვევაში, როდესაც რაიმე დასკვნას გამოვიტანთ, ჩვენ უკვე გაცნობიერებული უნდა გვქონდეს ღირებულებები (რომელიც დანასკვნის მთავარ წინაპირობაშია მოცემული), რომლითაც ამ დანასკვნის მართებულობას გავამყარებთ. მაგრამ ჩვენი საბოლოო, ზოგადი შეფასების დროს, შეიძლება მხედველობის მიღმა დავტოვოთ რაიმე მახასიათებლები, რადგან ეს პროცესი სუფთა არჩევანის ნაყოფია.

ზემოთ მოცემულ წინადადებას (1) მაშინვე უარყოფს არანატურალიზმი. რადგან ზოგადი ან უნივერსალური მტკიცების დროს, ,,კარგს" გამოიყენებენ რაიმეს სადიდებლად, იმის მტკიცების გარეშეც, რომ ასეთი შექების საფუძვლები არსებობს. (2) ასევე უარყოფენ, რადგან ვერავინ იტყვის, რომ ყოველთვის შესაძლებელია მოვძებნოთ ისეთი მიზეზები, რომლითაც რაიმეს ,,კარგს" ვუწოდებთ. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ადამიანი თავის ღირებულებებთან დაკავშირებით და ლოგიკურად შეუძლებელიცაა, რომ მან გადაწყვიტოს ადამიანთა საჭიროებები, სურვილები და მიზნები და მოაქციოს ისინი ,,კარგ" და ,,ცუდ" შეფასებას შორის. მიზეზი ყოველთვის სუბიექტურია, რამდენადაც სუბიექტური შეხედულებებიდან, სუბიექტური ღირებულებებიდან გამომდინარეობს.

პირველ რიგში, სადავოა ის, თუ რამდენად შესაძლებელია ,,კარგის" გამოყენება იქ, სადაც რაიმე მიზეზი ან მტკიცებულება მას არ გააჩნია. განვიხილოთ შემდეგი შემთხვევა: წარმოვიდგინოთ, რომ არსებობს ორი სეგრეგაციონისტი, რომლებიც არ ეთანხმებიან შერეულ ქორწინებას. პირველი ამტკიცებს, რომ რასების შერევა გამოიწვევს ზოგად უბედურებას, ინტელექტუალური შესაძლებლობების, მორალური სტანდარტებისა და შემოქმედებითი ფიქრის შემცირებას და ა.შ. მეორე კი არ ეთანხმება პირველის არც ერთ მო-

საზრებას და ამბობს, რომ რასები არ წახდება და ადამიანებიც შესაძლოა უფრო ბედნიერები იყვნენ, ყოველ შემთხვევაში რაიმე ტიპის მორალურ თუ ინტელექტუალურ გაუარესებას ადგილი არ ექნება. მაგრამ, მეორეც ამტკიცებს, რომ შერეული ქორწინება ცუდია. როდესაც მას ამ განაჩენის გამოტანის დასაბუთებას მოსთხოვენ, ის უბრალოდ უპასუხებს, რომ ,,მას არანაირი მიზეზი არ გააჩნია, ყველას შეუძლია ძირითად წინაპირობას დაეთანხმოს და შეწყვიტოს სხვა მიზეზების პოვნა. მან აქ გაჩერება აირჩია და არა ისეთი გავრცელებული მოსაზრებების ძიება, როგორიცაა ადამიანური ბედნიერება, მორალური ღირებულება და სხვა". ანდა, შესაძლებელია მან საპირისპიროდ, აქეთ ჩაგვაგდოს საგონებელში და გვკითხოს: ,,რატომ უნდა დავასახელო მიზეზები? რატომ ითხოვთ ჩემგან ამას? რასობრივი სისხლის არევა უბრალოდ ცუდია".

არავის გაუჩნდებოდა კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ მიიჩნევდა პირველი სეგრეგაციონისტი ,,შერეულ ქორწინებას ცუდად". მეორის შემთხვევაში, საქმე უფრო რთულადაა. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც დავსვამთ შეკითხვას, თუ როგორ შეიძლება გავიგოთ მისი განსჯა შერეულ ქორწინებასთან დაკავშირებით, ასევე, სხვადასხვა ფობიებზე, სხვადასხვა რასის ადამიანებს შორის სექსუალური ურთიერთობების წინააღმდეგ? ასეთ შემთხვევში ცნებების ,,კარგი" და ,,ცუდი" გამოყენება არსებითად მნიშვნელოვანია, რადგან მათ ვიყენებთ, როგორც განაჩენებს, რომლებიც ერთი ტიპის განსჯას განასხვავებს მეორე ისეთი ტიპის განსჯისგან, რომელიც სიამოვნებას, მოსაწონს და არ მოსაწონს განარჩევს ერთმანეთისგან. აუცილებელია, რომ შეგვეძლოს ასეთი აზრის გამომხატველს მოვუწოდოთ პირდაპირ თქვას ის, რისი თქმაც სურდა. მაგ. ,,შერეული ქორწინება აშინებს" და სხვ. რადგან ეს არის ,,კარგის" და ,,ცუდის" გრამატიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რაც უფრო ნათელს ხდის მოსაზრებას, ვიდრე ,,მომწონს" ან ,,არ მომწონს" არგუმენტები. ვინაიდან ჩვენ მის მსჯელობაზე ,,რომ X კარ-

გია/ან ცუდია" ვპასუხობთ, რომ ,,ის მხოლოდ მოწონება/არ მოწონებას გამოხატავს", რაზეც ის მარტივად შემოგვიბრუნდება და გვიპასუხებს ,,რომ მას არ მოსწონს X, მაგრამ ხვდება, რომ ის კარგია".

ამრიგად, ამ ორ შემთხვევაში განსხვავებული კრიტერიუმები უნდა არსებობდეს. მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ მეორე სეგრეგაციონისტს გამოაქვს განაჩენი, რომ ,,შერეული ქორწინება ცუდია", ასეთი განსხვავების გაკეთება რთულდება. განაჩენს, რომ რაღაც მომწონს, საფუძველი არ სჭირდება. სხვაგვარად, საფუძვლების არ არსებობა ძირს არ უთხრის აზრს, რომ ,,მე მომწონს X" (თუმცა სხვა რამემ, მაგალითად, საქციელმა შეიძლება ძირი გამოუთხაროს მას). მაგრამ თუ არ მივუთითეთ მიზეზებს (გარკვეული მიზეზების გამო, რასაც ქვემოთ განვიხილავით), ვერ დავამტკიცებთ, რომ ჩვენი მტკიცება, X კარგია, უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ,,მე მომწონს X". ამრიგად, ადამიანს შეუძლია დაიცვას თავი მხოლოდ თავისივე ნათქვამისგან და მაგალითად ,,მას მოსწონს X" დებულებაში თვითგანსაზღვრული საფუძველი ჩადოს. თუ საფუძველი არ იარსებებს, მაშინ განსჯა უნდა განვასხვავოთ გამოხატვისგან: ეს ნიშნავს, რომ არ არსებობს ,,კარგი" და ,,ცუდი" განსჯები, როგორც ეს უკვე ვნახეთ.

მათ, ვისაც სჯერა ფაქტის და ღირებულების დიქოტომიის, ეცდებიან თავი აარიდონ ასეთ დასკვნას. შეეცდებიან განსაზღვრონ ზემო დასახელებული ორი მოვლენა ,,კარგი" და ,,ცუდი" გადაწყვეტილების მიღებისას, დამტკიცებისას და ა.შ. ამრიგად, არ აქვს მნიშვნელობა რა საფუძველი გააჩნია ადამიანს, თუ ასეთი რამ არსებობს. ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ, რომ ის უკეთესს და ცუდს განსჯის იმ ფაქტების დახმარებით, რომელსაც აფასებს, გამოხატავს ან კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ეს იწვევს შეკითხვას, თუ რას ნიშნავს შეფასება, გამოხატვა ან კითხვების დასმა, ან მოწონების გამოხატვა და როგორ უნდა გავიგოთ, რამდენად წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის ასეთი დასკვნები მისი გრძნობების გაღვივებასთან?

თუ შეგვიძლია იმის განსაზღვრა, რასაც ადამიანი ეთანხმება საკუთარი პოზიციიდან გამომდინარე - ან რამდენად შეუძლია მას სადავო საკითხების გაცნობიერება - შეიძლება იმავე ტიპის პრობლემა თავიდან წარმოჩინდეს: როგორ განვასხვავოთ მოსაზრება, რომ ის ნამდვილად ეძებს გადაწყვეტილებას და შეპყრობილია ამ მიზნის მისაღწევად? სავარაუდოდ, ორივე სეგრეგაციონისტი შერეული ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლის მომხრეა, მაგრამ მაინც გაურკვევლობაში გვტოვებს ,,მეორის" პოზიცია. ალბათ, ამის გარკვევა შესაძლებელია, თუ გავიგებთ რამდენადაა მათი გადაწყვეტილებები უნივერსალიზებული? მაგრამ აქაც არავითარი ქვაკუთხედი არ გვაქვს, რადგან ორივე სეგრეგაციონისტი თანხმდება, რომ ყველამ უნდა ეძებოს რასობრივი სიწმინდე. ის, თუ რამდენად განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ორივე ამ საკითხს, ღიად რჩება. ალბათ, მეორე მხოლოდ იმას გულისხმობდა, რომ ის უბრალოდ ვერ უძლებს რასობრივ შეჯვარებას, იქნება ეს მის მიმართ თუ სხვების მხრიდან ჩადენილი. ანალოგიურად, ასეთმა იძულებამ შეიძლება პატიოსნება შემატოს მას ან ზიზღი განაცდევინოს სხვების უწმინდურობის მიმართ, ან მიმდევრებიც კი გაუჩინოს. მაგრამ მაინც საჭიროა განვასხვავოთ ასეთი შემთხვევა ისეთი დადგენილებისგან, რომელიც რასობრივ სიწმინდეს დადებითად მიიჩნევს.

შეგვიძლია დავუბრუნდეთ ქცევის კრიტერიუმებს, რას ნიშნავს ,,ქცევა"? როდესაც ადამიანი საკუთარი ფიქრის საწინააღმდეგოდ მოქმედებს? არ არსებობს მიზეზი იმისთვის, რის გამოც ადამიანი, რაიმე ტიპის ნევროზული ფობიით შეპყრობილი, შეიძლება X-ის წინააღმდეგი იყოს, განსხვავებით ადამიანისგან, რომელიც განსჯის X-ს, აჩვენებს მის ცუდ მხარეებს ან თავიდან იცილებს მას, ან ცდილობს რომ სხვას აარიდოს. ამრიგად, არანატურალისტებმა ყოველგვარი კრიტერიუმის გარეშე დაგვტოვეს, გარდა იმ კრიტერიუმისა, რომლითაც ადამიანის სათქმელის გაგებაა შესაძლებელი. ასეთ შემთხვევაში კი არანაირი ცოდნა არ გვაქვს იმისთვის, რომ გავიგოთ

რამდენად სწორად იყო გამოყენებული მისი სიტყვები ან რა მნიშვნელობა ჰქონდა მას. X ცუდია, საპირისპიროდ, X მხდის ცუდად - ერთადერთი განსხვავება, რასაც განსჯიდან გამომდინარე გავაკეთებთ, ანალოგიურად ,,X ცუდია და სასურველია, რომ არ განხორციელდეს“ უპირისპირდება ,,X მხდის ცუდად და ის არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს“.

ჩვენ უბრალოდ მივემართებით იმას, რისი თქმაც ადამიანს სურს პირველ ან მეორე შეკითხვაზე. განსხვავება სათანადო წესით იმ შემთხვევაში დადგინდება, თუ განსჯის მიზეზებს გადავხედავთ, ამიტომაც, განსჯის გარეშე განაჩენის გამოტანა დაუშვებელია, რადგან ის აღარაფრით განსხვავდება გრძნობების გამოხატვისგან.

II.

ამგვარი ანალიზი, რომ ,,შერეული ქორწინება ცუდია" შეიძლება სარწმუნოდ ჟღერდეს, მაგრამ როგორ უნდა ითქვას ის, თუ რა არის ,,კარგი ადამიანის ბედნიერებისთვის"? რაზე შეიძლება ვისაუბროთ, როდესაც ამგვარ დასკვნაზე ვსაუბრობთ? პასუხი ისაა, რომ ჩვენ არაფრის თქმა შეგვიძლია, მაგრამ, ასევე ჩვენ არაფერი უნდა ვთქვათ. ის, რომ რაღაც ხელს უწყობს ადამიანის ბედნიერებას, უკვე ადეკვატური საფუძველია, რაიმეს შესაფასებლად, როგორც ,,კარგის", რამდენადაც მისი საწინააღმდეგო მოსაზრებები არ არსებობს. მეორე საფეხური კი იმის თქმას გულისხმობს, რომ ის აკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებებს, სურვილებსა და მიზნებს, რაც საწინაღმდეგოს სასარგებლოდ მტკიცებულებების არ არსებობისას წარმოადგენს საფუძველს, რომ მას ,,კარგი" ვუწოდოთ.

სინამდვილეში, არაა აუცილებელი მხოლოდ დადასტურების საფუძველი არსებობდეს, როდესაც რაიმე განსჯას ვეთანხმებით. შეიძლება მის ნომინალურ ღირებულებებზე ვისაუბროთ, როგორც კარგზე ან ცუდზე. თუმცა მათაც გარკვეული საფუძველი უნდა გაჩნდეს. ეს საფუძველი უნდა უკავშირდებოდეს იმას, რაც ადამიან-

ებს სჭირდებათ, სურთ ან ეძებენ. მსჯელობა უფრო ნათელი გახდება, თუ სხვა მაგალითს შემოვიტანთ. ვთქვათ, ადამიანმა განაცხადა, რომ ,,რაც უფრო მეტ ადამიანს მიუწვდება ხელი სამედიცინო დახმარებაზე, ეს მით უფრო კარგია". დავუშვათ, რომ სხვა ადამიანს ამ აზრის უარყოფა სურს იმ არგუმენტებით, რომ ასეთ შემთხვევაში ,,მსოფლიოს მოსახლეობა უფრო სწრაფად გაიზრდება და მწირი რესურსები ვერ უპასუხებდა ადამიანების გაზრდილ მოთხოვნებს. მიზნის მიღწევა კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ საწინააღმდეგო სოციალური პოლიტიკით, მაგალითად, სახელმწიფო მედიცინით და ა.შ.". ზემოხსენებულ რომელიმე მსჯელობაზე დათანხმება, მეორის უარყოფას გამოიწვევს, რამდენადაც მიუღებელი არ უნდა იყოს ის. ამასთან, ეს არ იქნებოდა უბრალო ემოციური რეაქცია. თუ საწინააღმდეგო პოზიციის ავტორი არ გამოეპასუხებოდა, ან არ შეეწინააღმდეგებოდა, მისი პოზიცია ძნელად გასაგები (და ბუნდოვანი) გახდებოდა. ან მის სიტყვებზე (მოსაზრებებზე) ვიფიქრებდით, როგორც ემოციურ გამოხატულებაზე, როგორიცაა ზიზღის, შიშის ან რაიმე აზრთან მიმართებაში მწუხარების გამოხატვა.

მაგრამ, თუ ჩავთვლით, რომ ის მზად იყო მისი პოზიციის გამყარებისკენ, მაგალითად, ეთქვა, რომ ,,ასეთ შემთხვევაში ძალიან ბევრი ექიმი იქნებოდა საჭირო" ან ,,ძალიან ბევრი ადამიანი იქნებოდა თეთრხალათიანი" ამ შემთხვევაში ჩვენ დავეჭვდებოდით, თუ როგორ გვეპასუხა მის არგუმენტზე, რამდენად კარგი ან ცუდი იქნებოდა ექიმების გაზრდის არგუმენტი. თუ ეს აზრიც ფაქტის უბრალო ,,არ მოწონებას" ნიშნავს? ამ საკითხის გადაწყვეტა კი მოითხოვს იმ საფუძვლების ძიებას, რამაც ამგვარი პოზიციის წარმოშობა განაპირობა. სხვა მხრივ, მას რომ უბრალოდ არაფერი ჰქონოდა სათქმელი, მისი პოზიცია გაუგებარი იქნებოდა ზუსტად ისე, როგორც თავდაპირველად ამჯობინა გაჩუმება ან ვერ შეძლო საკუთარი პოზიციის განმტკიცება. ,,რა არის ეს?", ჩვენ ვიტყოდით: ,,თქვენ წინააღმდეგი ხართ სამედიცინო სერვისების გაზრდისა, რადგან ეს

გაზრდის ექიმების რაოდენობასაც?" ეს თქვენი ემოციური გრძნობაა, რაც ექიმებს მიემართება, თუ ნამდვილად იმას გვეუბნებით, რომ ზრდა ცუდია?" მისი მხრიდან რაიმე პოზიციის განმტკიცების/დაცვის არარსებობის შემთხვევაში, ჩვენ ვიღებთ პირველ ინტერპეტაციას.

აშკარაა, რომ პრობლემა ვერ გადაიჭრებოდა, თუ ჩვენი მოწინააღმდეგის არგუმენტები ექიმების მიმართ ისეთ აბსტრაქტულ ფაქტებს დაეყრდნობოდა, როგორიცაა მაგალითად, ექიმები მუქ კოსტუმებს ატარებენ ან ხელებს ხშირად იბანენ. ასეთი არგუმენტების შემთხვევაში, მასში ეჭვს შევიტანდით, ისე, რომ მსჯელობის დამუშავებასაც კი აზრი დაეკარგებოდა.

ისეთ შემთხვევაში, თუ ის ისაუბრებდა ექიმების ბოროტ გავლენაზე საზოგადოაზე ან ისაუბრებდა ავის მომასწავლებელ შეთქმულებაზე, რაც ექიმების მხრიდან კაცობრიობის ნაწილის ექსპლუატაციაზე მიანიშნებდა, მისი პოზიცია გასაგები გახდებოდა, როგორც ცუდის ან კარგის განსჯა. ასეთ შემთხვევაში, ექიმების რაოდენობის გაზრდის არგუმენტი გასაგებად დაუკავშირდებოდა ადამიანის ინტერესებს, საჭიროებებსა და მიზნებს.

რასაც აქ ვგულისხმობთ ,,გასაგებში" არის ის, რომ ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ განსჯა ,,კარგისა" და ,,ცუდის" გამოყენებით. ფართოდ შეთანხმებულია, რომ დისკურსულ სივრცეში სიტყვებს თავიანთი მნიშვნელობები გააჩნიათ. შეგვიძლია მათ გარკვეული მნიშვნელობა მივანიჭოთ, როდესაც მკაფიოდ განვმარტავთ მის ურთიერთობას სხვა სიტყვებთან. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია ლოგიკური ურთიერთობების ნაკრებში მათ ეკვივალენციური მნიშვნელობა დავუწესოთ, რასაც ადრინდელი პოზიტივიზმი ფილოსოფიურ მცდელობად მიიჩნევდა. სხვა ტერმინებთან მიმართება გარკვეულ კონტექსტში უნდა მოხდეს. ამრიგად, არსებობს კავშირი ,,კარგს" და მაღალ შეფასებას, თანხმობის გამოხატვას და ა.შ. შორის. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ შეგვიძლია დავასაბუთოთ ,,X

კარგია" და ვგულისხმობდეთ იმას, რომ უბრალოდ ,,მივესალმებით X-ს". უფრო მეტიც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ,,კარგი" შეიძლება გამოვიყენოთ შექებისთვის, რამდენადაც ამ სიტყვის გამოყენება გარკვეულ გარემოებებში გულისხმობს მზადყოფნას, თუმცა მისი დასაბუთების გარეშე, ის უბრალოდ არასერიოზულად იქნება აღქმული.

კავშირი ,,კარგსა" და შექებას, მოწონების გამოხატვას, დარწმუნებას და ა.შ. შორის ხაზგასმით აღნიშნა არანატურალისტმა თეორეტიკოსებმა (თუმცა ლოგიკურ ურთიერთობებზე ვიწრო კონცენტრაციის გამო, ეს ყოველთვის ადეკვატურად გასაგები არ არის), მაგრამ, მისი წინასწარმეტყველების თვისებიდან გამომდინარე, ამ ტერმინს ურთიერთობათა სხვა ნაკრები გააჩნია. ეს ორი ასპექტი შეესაბამება იმას, რასაც ხშირად უწოდებენ, ერთი მხრივ, შეფასებას, ემოციურობას ან განმსაზღვრელ მნიშვნელობას (რაც დამოკიდებულია თეორიაზე), და, მეორე მხრივ, ,,დესკრიპციულ" (აღწერით) მნიშვნელობას. ნახევარი საუკუნის განმავლობაში დიალექტური არტილერიის უზარმაზარი დარტყმის ქვეშ გადაისინჯა ის, რასაც ნატურალისტურ შეცდომას ვუწოდებთ, რომლის მიხედვითაც ,,კარგი" გათავისუფლდა დესკრიპციული (აღწერითი) მნიშვნელობების ნებისმიერი ნაკრებისგან. მაგრამ ეს უზარმაზარი ძალისხმევა არსებითი მნიშვნელობის იყო, რადგან კონცენტრირდებოდა ლოგიკური ურთიერთობების არარსებობაზე, აღწერილ პრედიკატებსა და შეფასების ტერმინებს შორის. მაგრამ ფაქტმა, რომ შეუძლებელია ეკვივალენტობის პოვნა, დედუქციური არგუმენტების ვალიდობამ და სხვ. შეიძლება არაფერი აჩვენოს მოცემულ კონცეფციასა და სხვა კავშირებთან.

ისევე, როგორც ზემოთ მოცემული ,,შეფასებითი" მნიშვნელობით, ასევე, ,,აღწერითი" მნიშვნელობითაც: ,,კარგი" არ ნიშნავს ,,ადამიანის სურვილების, მოთხოვნილებების ან მიზნების ასრულებას", მაგამ მისი გამოყენება ძნელად გასაგებია სურვილების, საჭიროებებისა და მიზნების ნებისმიერი კავშირის გარეშე, როგორც ეს უკვე

ზემოთ ვნახეთ. თუ ამ კავშირებს ბუნდოვნად აღვიქვამთ, ჩვენ ვერ ვიტყვით, თუ რისთვის იყენებს ადამიანი ,,კარგს", განსჯისთვის თუ უბრალოდ აზრის/განცდის გამოსახატად. ასეთი განსხვავებისთვის, ტერმინების მნიშვნელობის გაგება მნიშვნელოვანი ნაწილია. ,,სიკეთის" დესკრიპციული აღწერა შეიძლება ამ ფორმით იყოს ნაჩვენები: ,,სიკეთე" გამოიყენება ადამიანის რასის მიერ, შეფასების, შექების, დარწმუნების და ა.შ. მიზნებისთვის, საჭიროებებისთვის და სურვილებისთვის, რომ ისინი არ არიან გულგრილები მსოფლიოში მიმდინარე პროცესების სხვადასხვა შედეგების მიმართ. არააქტიურ, უღმერთო ანგელოზების რასას, როგორც ნამდვილად უინტერესო მაყურებლებს, ის არაფრად გამოადგებოდა, ვერც გამოიყენებდნენ მას, გარდა კულტურული ანთროპოლოგიის კონტექსტისა, როგორც ანთროპოლოგები იყენებენ ტერმინს ,,მანა" (მთარგმნელის შენიშვნა: უპიროვნო ზებუნებრივი ძალა, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა). იმის გამო, რომ ადამიანის ცხოვრებაში ,,კარგს" ეს გამოყენება და მნიშვნელობა გააჩნია გაუგებარი გახდება, თუ მას ტრადიციული როლიდან ამოვიღებთ. იმის გამო, რომ მას ვიყენებთ იქ, სადაც გულგრილები არ ვართ, მისი გამოყენება არ შეიძლება იქ, სადაც ვერ ვხედავთ, თუ რა არის გულგრილი. როგორც ეს ზემოთ წარმოვადგინეთ მოწინააღმდეგეების უცნაურ ,,საფუძვლებში". უფრო მეტიც, მისი როლი ზოგადი ნიშნითაა განსაზღვრული და არა მხოლოდ ინდივიდუალური მოწონება/არ მოწონებით. ეს განსხვავება არსებითია, ვინაიდან (სხვა საკითხებთან ერთად) დაინტერესებული რასა დიდ ძალისხმევას ხარჯავს დიდ და მცირე ჯგუფებში კონსესუსის მისაღწევად და შესანარჩუნებლად, რომლის გარეშეც იგი ვერ გადარჩებოდა. მაგრამ იქ, სადაც ვერ ვხედავთ, რა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს მის გამოყენებას, ჩვენ ვცდილობთ განვაგრძოთ ,,კარგის" გამოყენება, როგორც მიკერძოებულობის გამოხატულება, მხოლოდ უფრო ტრივიალური, ინდივიდუალური სახით.

ამრიგად, ჩვენ ვხვდებით, თუ რატომ არ სჭირდება, ,,ნებისმიერ რამეს, რაც კაცობრიობის ბედნიერებას უწყობს ხელს“ რაიმე დამატებითი საფუძვლების მოძიება, რომ ის შევაფასოთ, როგორც ,,კარგი“. კაცობრიობის ბედნიერებაში, რაც კაცობრიობის სურვილიცაა, ჩვენ ადეკვატური საფუძვლები გაგვაჩნია. ეს არ ნიშნავს, რომ ყველა არგუმენტი დაუშვებელი ან გამორიცხულია. ჩვენ ვცდილობთ ვაჩვენოთ, რომ ადამიანები სხვადასხვა გზით გადაგვარდებიან, როდესაც მხოლოდ ბედნიერებას დაეძებენ და გარკვეული რამ, რაც ადამიანებს უბედურს ხდის, აუცილებელია მათი განვითარებისთვისაც. ან ვცდილობთ ვაჩვენოთ, რომ არსებობს უფრო მაღალი და დაბალი ბედნიერება და თუ ამგვარი სათაურის ქვეშ ადამიანები მხოლოდ სიამოვნებას ეძებენ, ეს მათ აშორებს ნამდვილ სრულყოფილებას. მაგრამ, სანამ მსჯელობაში რაიმე საკამათო მოსაზრებას ვერ შემოვიტანთ, მანამდე ვერ უარვყოფთ ამ ტიპის თეზისს. ის ფაქტი, რომ ყოველთვის შეგვიძლია მივიღოთ მსგავსი საკამათო მოსაზრებები, ნიშნავს, რომ ვერასდროს ვიტყვით, რომ ,,კარგი" ნიშნავს ,,იმას, რასაც კაცობრიობისთვის ბედნიერება მოაქვს", როგორც ეს მურმა შენიშნა. მაგრამ მსჯელობა, რომ რაც ხელს უწყობს, ადამიანთა ბედნიერებას, ან ზოგადად, ადამიანური საჭიროებების, სურვილებისა და მიზნების სრულყოფას არის კარგი - არის საწინააღმდეგოს სასარგებლოდ მტკიცებულებების არ არსებობის შედეგი.

ამრიგად, პოლიტიკის მეცნიერების თეორიული დასკვნების არანეიტრალურობამ არ უნდა გაგვაკვირვოს. ჩარჩოს ჩამოყალიბებისას, თეორეტიკოსი ასევე განსაზღვრავს შესაძლო პოლიტიკებს. მაგრამ პოლიტიკური ჩარჩო არ შეიძლება შეიცავდეს ადამიანების საჭიროებების, სურვილებისა და მიზნების გარკვეულ, თუნდაც ფარულ კონცეფციას. ამ კონცეფციის კონტექსტი განსაზღვრავს სპექტრის მნიშვნელობის დახრილობას, სანამ ვერ შემოვიტანთ საწინააღმდეგო თვალსაზრისებს/მოსაზრებებს. თუ ეს დამაკომპენსირებე-

ლი ფაქტორები მოტივაციურად საკმარისია, რომ პოლიტიკურ ქცევაზე არ ჰქონდეს საკმარისი გავლენა, მაშინ შესაძლებელია იმ შეფასებაზე საუბარი, რომელიც თავდაპირველად არ მივიღეთ მხედველობაში. შესაძლებლობების სპექტრის იმ ნაწილს, რომელსაც თავდაპირველად ვაფასებდით, ჯერ კიდევ გააჩნიათ თვისება, რომელიც მას მივაკუთვნეთ და სწორედ ამ ერთი ასპექტით ის მაინც ღირებულია ჩვენთვის, მიუხედავად იმისა, მის სხვა მხარეებს რა შეფასებას მივცემთ.

მაგალითად, ჩვენ შეიძლება კვლავ გვჯეროდეს, რომ მშვიდობიანი პოლიტიკის ქონა კარგია, მიუხედავად იმისა, რომ ეს ცუდი მართვის შედეგი იქნება თუ არა. მაგრამ, თუ საკომპენსაციო ფაქტორი მნიშვნელოვანია პოლიტიკური ქცევისთვის, ეს მიგვიყვანს ჩვენი ჩარჩოს გადახედვისკენ და, შესაბამისად, ჩვენი შეხედულებების გადახედვაზე შესაძლო პოლიტიკასა და პოლიტიკაზე. ეს, თავის მხრივ, გამოიწვევს ახალ შეფასებებსაც, რადგან ძირეული ღირებულებების საფუძვლები დაირღვევა. ამრიგად, თუ გვჯერა, რომ ძალადობის არარსებობა გამოიწვევს სტაგნაციას და დაპყრობას ან დაშლას, მაშინ ჩვენ შევცვლით შესაძლებლობათა სპექტრს: არჩევანი აღარ იდგება მშვიდობასა და ძალადობას შორის, არამედ, ვთქვათ, კონტროლირებად ძალადობასა და უფრო დიდ უკონტროლო ძალადობას შორის. მშვიდობა გახდება ანგარიშგასაწევი.

რა თქმა უნდა, გამათანაბრებელმა ფაქტორმა შეიძლება ასე მკვეთრად არ გადასინჯოს ჩვენი არჩევანის სპექტრი. მას შეეძლება უბრალოდ აჩვენოს, რომ თავდაპირველად განსაზღვრული სასურველი რეჟიმის ღირებულებები შეიძლება არ იქნეს სრულყოფილად მიღწეული, ან რომ შეიძლება მათ საფრთხე დაემუქროთ ისეთი თვალსაზრისებით, რაც წარსულში მასში ეჭვის შეტანის საფუძველს არ მოგვცემდა. ან შეიძლება მათ მოჰყვეს ახალი საფრთხეები, დარღვევები ან ღირებულებებისგან გაუფასურება, რაც ადრე არ იყო გათვალისწინებული. ასე, რომ ჩვენ მოგვიწევს არჩევანის გაკეთება,

როგორც ზემოთ, მშვიდობა / კარგი ხელოვნების საწინააღმდეგო შემთხვევაში. ამრიგად, ჩარჩოს ყველა ცვლილება ძირს არ უთხრის თავდაპირველ ღირებულებებს. მაგრამ ვხედავთ, რომ საპირისპირო მხარე ნამდვილად მოქმედებს და ყველა ძირგამომთხრელი მონაწილეობს ჩარჩოს ცვლილებაში. თუ ჩვენ თავდაპირველ ჩარჩოს დავტოვებთ, მაშინ ღირებულებები, რომლებიც სასურველ რეჟიმთანაა დაკავშირებული, გახდება სრულად რეალიზებული სიკეთეები, მაშინაც კი, თუ მათ გარკვეული ბოროტება მოჰყვება, რაც რთულ არჩევანს გვიქმნის, მაგალითად მშვიდობასა და კარგ ხელოვნებას ან პროგრესსა და ფსიქიკურ ჰარმონიას შორის არჩევანის გაკეთების დროს.

ამ თვალსაზრისით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოცემული ამხსნელი ჩარჩო ფარავს სიკეთის წარმოსახვას, და შეფასების ერთობლიობას, რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელია - თუმცა კი მათი გადალახვა შესაძლებელი - მანამ, სანამ ჩარჩოს არ გავექცევით. რა თქმა უნდა, რამდენადაც ფასეულობების გადალახვა შესაძლებელია, მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ჩარჩო ხელს უწყობს მათ მხარდაჭერას, და ადგენს (საფუძვლეს უქმნის) მათ ვალიდობას. მაგრამ ეს საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ პოლიტიკური მეცნიერების ნეიტრალური დასკვნები არ არის ისეთი, როგორადაც მას წარმოადგენენ. მოცემული ჩარჩოს შექმნა შემოფარგლულია ღირებულებითი პოზიციების დიაპაზონით, რომელთა გათავისება გამართლებულია. ჩარჩოს გათვალისწინებით, გარკვეული სიკეთეები შეიძლება მივიღოთ ყოველგვარი ,,დამატებითი არგუმენტის გარეშე". ჩარჩოზე შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული გზით ქმნის კამათის საბაბს. ამრიგად, ეს არ არის ნეიტრალური.

ამის თავიდან აცილების ერთადერთი გზა პოლიტიკურ მეცნიერებაში ვიწროზომილებიანი (შეზღუდული) აღმოჩენებით დაკავებაა, რომლებიც მხოლოდ იმის გამო, რომ ცალკეც თანაარსებობენ, მაინც თავსებადები არიან მრავალრიცხოვან პოლიტიკურ ჩარჩოებ-

თან. შეუძლიათ თანაარსებობა ღირებულებით ნეიტრალურ ატმოსფეროშიც. დეტროიტის (შტატის) კათოლიკეები ხმას აძლევენ დემოკრატებს და მათ შეუძლიათ ნებისმიერის კონცეპტუალურ სქემას შეუერთდნენ, ან ნებისმიერის პოლიტიკურ ღირებულებებს. მაგრამ, რამდენადაც პოლიტიკის მეცნიერებას არ შეუძლია უარი თქვას თეორიაზე, ჩარჩოს ძიებაზე, ამ ეტაპზე მას არ შეუძლია შეაჩეროს ნორმატიული თეორიის განვითარება.

ამას არც ის მანკიერი შედეგების მოხმობა სჭირდება, რაც ჩვეულებრივ თან ახლავს ასეთ პროცესს. ვერაფერი შეგვიშლის ხელს, რომ უარი ვთქვათ მცდელობებზე, რაც ობიექტურობის მისაღწევად მიკერძოების თავიდან აცილებას საჭიროებს. რა თქმა უნდა, ეს ძნელია, თითქმის შეუძლებელია და ზუსტად იმიტომ, რომ ჩვენი ღირებულებებიც საფრთხის ქვეშ დადგება. მაგრამ ეს გვეხმარება იმისთვის, რომ ვიცოდეთ ამ ყველაფრის შესახებ.

Martin M., McIntyre L., *Readings in the Philosophy of Social Science,* A Bradford Book; N edition (March 22, 1994), ISBN: 978-0262631518; p 547 – 570

თარგმანი: თეიმურაზ ბეჟანიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მიმართულების დოქტორანტი